საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 9
შაბათი, 15 დეკემბერი, 1990.
ფასი 3 კაპიკი.

მთავრობის მოამბე

მინისტრთა საბჭოში

12 დეკემბერს გამართული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანილ საკითხთაგან თითოეული იყო არა მარტო აქტუალური თავისთავად, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეხებოდა რა ამა თუ იმ პრობლემას ახლანდელ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეიცავდა მისი გადაჭრის კონსტრუქციულ გზებსაც. სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს მკვეთრად გაუარესდა რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება ხორცითა და რძის პროდუქტებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა თბილისში, სამრეწველო ცენტრებსა და საკურორტო ქალაქებში, წლის დამდეგიდან განვლილი თერთმეტი თვის მანძილზე დავალებით გათვალისწინებული 113,4 ათასი ტონა ხორცის ნაცვლად შესყიდულია 87,2 ათასი ტონა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რესპუბლიკას დააკლეს 42 ათასი ტონა რძე, რაც წლიური დავალების 15 პროცენტს შეადგენს. კიდევ უფრო გამწვავდა რძის პროდუქტების დეფიციტი მას შემდეგ, რაც მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელებმა, უგულებელყვეს რა მოქმედი კანონმდებლობა, თვითნებურად შექმნეს აგროკომბინატები, ასოციაციები და აგროფირმები, რომლებშიც შეიყვანეს საწარმოო გაერთიანება „საქრძეში" შემავალი რძის გადამამუშავებელი საწარმოები. ამას ის მოჰყვა, რომ რძეს იყენებენ არადანიშნულებისამებრ, რის გამოც პროდუქციის მეტი ნაწილი საბაზრო ფონდების გარეშე დარჩა. ვითარება გააუარესა საქართველოში სხვა რესპუბლიკებიდან რძის რესურსების მოწოდების შემცირებამაც.

გააანალიზა რა შექმნილი სიტუაცია, პრეზიდიუმმა განსაზღვრა რესპუბლიკის მოსახლეობის ხორცითა და რძის პროდუქტებით მომარაგების გადაუდებელი ღონისძიებანი. კონკრეტული დავალებები მიეცათ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო მატერიალური რეზერვების საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოსა და საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა შედეგად მრავალი ოჯახი დარჩა საკარმიდამო ნაკვეთების გარეშე. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით სტიქიით დაზარალებულ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, აგრეთვე უმიწაწყლო ოჯახებს გამოეყოთ ასეთი ნაკვეთები კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ფონდებიდან. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილებანი. მიღებულია დადგენილება, რომ საქართველოს სახაგრომრეწვის დიდების დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს გამოეყოს 6,5 ჰექტარი მიწა გარდაბნის რაიონის სოფლებში კიკეთში, დიდებასა და ბეთანიაში მცხოვრები თავისივე მუშა-მოსამსახურეების საკარმიდამო ნაკვეთებისათვის.

პრინციპული, მომთხოვნელი სჯაბაასი გაიმართა სხდომაზე იმ საკითხის განხილვისას, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით თბილისში გახშირდა მოქალაქეთა მიერ საექსპლუატაციოდ გადასაცემ საცხოვრებელ სახლებში თვითნებური შესახლებისა და ხელში ჩაგდების ფაქტები. გაითვალისწინა რა საზოგადოებრიობის აზრი, პრეზიდიუმმა მკაცრად დაგმო ამგვარი მოქმედება, რომელიც დიდ მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს, რომლებიც კანონიერ საფუძველზე უნდა შესახლებულიყვნენ ამ ბინებში. მკაცრად გააკრიტიკეს შემთხვევები, როცა ხელში ჩაიგდეს სხვადასხვა საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების კუთვნილი სახელმწიფო და სხვა აგარაკები და პანსიონატები, კერძოდ, ოქროყანასა და წყნეთში.

მიღებულ დადგენილებაში მინისტრთა საბჭომ მთელი კატეგორიულობით მოითხოვა, რომ მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სამართალდამცველ ორგანოებთან ერთად გადაუდებლად დაამყარონ სათანადო წესრიგი ამ საქმეში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ თვითნებური შესახლებისა და ბინების ხელში ჩაგდების ყოველ ფაქტზე კანონის მკაცრი შესაბამისობით მიღებულ უნდა იქნეს ყველაზე გადამწყვეტი ზომები.

პრეზიდიუმმა რეგისტრაციაში გაატარა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „სვანეთის" წესდება, რომლის შექმნა განაპირობა ზრუნვამ ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უნიკალური რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და დემოგრაფიული აღორძინებისათვის. სულ რამდენიმე თვის წინათ შექმნილმა ამ ნებაყოფლობითმა, თვითმმართველობაზე დაფუძნებულმა თანამოაზრეთა გაერთიანებამ უკვე კარგად გამოიჩინა თავი. ხელმძღვანელობს რა დემოკრატიული პრინციპებით, „სვანეთი" იმედს ამყარებს სრულ საჯაროობასა და პლურალიზმზე მხარის ისეთი საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა მოსახლეობის მიგრაცია, ადგილებზე ახალგაზრდობის დამკვიდრება, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების აღდგენა, ტურიზმისა და სპორტის განვითარება.

დღეს ინფორმაცია ოქროზე ძვირად ფასობს, ინფორმირების დონე დემოკრატიის დონის მაჩვენებელია, დემოკრატიისა, რომელსაც ვამკვიდრებთ. ამ ჭეშმარიტების დასტური გახდა მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკაში პირველად შექმნილი საქართველოს საინფორმაციო კორპორაციის „მაცნეს" რეგისტრაციის ფაქტი. „მაცნეს" მიზანია გააფართოოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის მოცულობა. თავისი ამოცანების შესაბამისად, კორპორაცია, როგორც თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის საფუძველზე მოქმედი დამოუკიდებელი სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია, კანონით დადგენილი წესით ქმნის გამომცემლობებს, ფოტო-ვიდეო და ტელესტუდიებს, სტამბას, რადიოკლუბს. იგი აწყობს პრესკონფერენციებს, სახელშეკრულებო საწყისებზე ამყარებს საქმიან ურთიერთობას ნებისმიერ ქვეყანასთან, აფუძნებს ჯილდოებს საუკეთესო ქართველ და უცხოელ ჟურნალისტთა წახალისების მიზნით. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის დამყარების გზით „მაცნე" გამოუშვებს საინფორმაციო-ელექტრონულ, ვიდეო-და ფოტოპროდუქციას, შექმნის შესაბამის არქივს — ინფორმაციის ბანკს, რომლითაც ისარგებლებენ როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური შემკვეთები.

საქართველოს ინტერესებს, მის უკეთეს მომავალს ემსახურება საქველმოქმედო ფონდის „საქართველო, საქართველოს" საქმიანობაც, რომლის წესდებაც ასევე რეგისტრაციაში გაატარეს პრეზიდიუმის სხდომაზე. ამ ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან რესპუბლიკის მოქალაქენი, რომლებსაც აერთიანებთ საქართველოს საყოველთაო აღორძინების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საფუძველზე მსოფლიო ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ სტრუქტურებში მისი ინტეგრაციის იდეა. საგულისხმოა, რომ ფონდის მუშაობაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც სამამულო, ისე უცხოეთის ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ცალკეულ მოქალაქეებს. თავის საქმიანობაში იგი ხელმძღვანელობს ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ინტერესებით, ურთიერთობას წარმართავს მსოფლიოს ხალხებთან თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპებით. ფონდის ამოცანათა შორისაა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, მათ შორის უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობის გაფართოება საქართველოში დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში, ახალგაზრდათა პროფესიული და სოციალური ზრდის, მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა შინაგანი რეზერვების გამოვლენა.

მინისტრთა საბჭომ მიიღო უნიკალური ბუნებრივი რეგიონების დაცვისა და კონსერვაციის საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაციის (შვეიცარია) და სოციალური ჰიგიენის კვლევის თავისუფალი ორგანიზაციის (გერმანია) წინადადება, რომ საქართველოში შეიქმნას მათი ერთობლივი წარმომადგენლობა. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით იგი გაიხსნება ქალაქ თბილისში. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა მოახდინოს ამ წარმომადგენლობის აკრედიტაცია და შეუქმნას მას ნორმალური ფუნქციონირების საჭირო პირობები.

სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხებიც.

სს „საქართველო"

თვითნებობის აღკვეთის მიზნით

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აგარაკებისა და საცხოვრებელი ბინების თვითნებურად დაკავების აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში გახშირდა მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საცხოვრებელი ბინებისა და აგარაკების თვითნებურად დაკავების შემთხვევები, რაც დიდ მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს, ვის სარგებლობაშიც უნდა გადასულიყო, კანონის თანახმად, თვითნებურად დაკავებული ბინები ან აგარაკები.

საცხოვრებელ ბინებსა და ორგანიზაციათა აგარაკებში თვითნებურად შეჭრილ მოქალაქეთა იძულებითი წესით გამოსახლება მოითხოვს სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ერთიან ძალისხმევას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, იზიარებს რა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის აზრს, გმობს მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი ბინებისა და ორგანიზაციათა აგარაკების უკანონოდ დაკავების ფაქტებს და კატეგორიულად მოითხოვს სამართალდამცველი და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისაგან ამ საქმეში წესრიგის დამყარებას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი ბინებისა და ორგანიზაციათა აგარაკების უკანონოდ დაკავების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები და დაუწესოს განსაკუთრებული კონტროლი ბინებიდან და აგარაკებიდან თვითნებურად შეჭრილ მოქალაქეთა იძულებითი წესით გამოსახლების თითოეულ ფაქტს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა საცხოვრებელ ბინებში და აგარაკებში თვითნებურად შეჭრილ მოქალაქეთა იძულებით გამოსახლების აქტის აღსრულების დროს ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ სასამართლო აღმასრულებლებს ტრანსპორტით, მუშახელით უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ უზრუნველყონ საცხოვრებელ ბინებში და აგარაკებში უკანონოდ შეჭრის ფაქტების დროული გამოვლენა და სათანადო ორგანოებისათვის შესაბამისი შეტყობინება.

სს „საქართველო"

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები. ამასთან დაკავშირებით უნდა შეწყდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების ფუნქციონირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გაუქმებულად ჩაითვალა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან სასამართლოს გაუქმებასთან დაკავშირებით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების მუშაკები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების მუშაკებს მიეცემათ გასასვლელი შემწეობა ერთი თვის საშუალო ხელფასის ოდენობით და შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი შრომითი მოწყობის განმავლობაში სამ თვემდე, თვიური გასასვლელი შემწეობის გათვალისწინებით.

სამინისტროს კადრების სამმართველოს დაევალა აღმოუჩინოს დახმარება შრომით მოწყობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების გაუქმების შედეგად გათავისუფლებულ მუშაკებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს ეთხოვა გადაანაწილოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები.

სს „საქართველო"

საქართველო—თურქეთი:

თანამშრომლობენ მედიკოსები

თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლობითი დელეგაციის ყოფნა თბილისში დამთავრდა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომლობის ოქმის ხელმოწერით. თურქეთის დელეგაციას მეთაურობდა მინისტრის პირველი მოადგილე ფერჰან ოზმენი. ხელშეკრულება, რომელიც 1992 წლამდეა გაანგარიშებული, ითვალისწინებს მრავალმხრივ თანამშრომლობას მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლების, სააფთიაქო საქმის, ერთობლივ სამეცნიერო გამოკვლევათა განხორციელების დარგში, სტუდენტებისა და სპეციალისტების რეგულარულ გაცვლას.

ხელშეკრულების სპეციალური პუნქტი აკონკრეტებს დარგებს, რომლებშიც აპირებენ ქართველი და თურქი მედიკოსები თანამშრომლობას. ეს არის იმუნოლოგია, ონკოლოგია, პროფესიული დაავადებები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ოჯახის დაგეგმვა, კარდიოლოგია, ანგიოლოგია, უროლოგია, ნეიროქირურგია, დიაგნოსტიკური რადიოლოგია, ჰემატოლოგია და მედიცინის მეცნიერების სხვა მიმართულებები. გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას მძიმე შემთხვევებში ქართველი პაციენტებისათვის თურქეთში და თურქი პაციენტებისათვის — საქართველოში. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში იქმნება საინფორმაციო სამსახურები, რომლებიც ორი ქვეყნის მედიკოსებსა და ბიზნესმენებს დაეხმარებიან გამონახონ საქმიანი პარტნიორები, მიიღონ საინტერესო ინფორმაცია. ხელშეკრულების განხორციელება მომავალი წლის დამდეგისთვისაა დასახული. შეიქმნება სამკურნალწამლო საშუალებათა, ზოგიერთი სახეობის სამედიცინო მოწყობილობის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობის ერთობლივი საწარმოები. 1991 წლის ოქტომბერში თბილისსა და ბათუმში დასახულია გაიმართოს მედიცინის ერთობლივი დღეები, რომელთა დროსაც ქართველი და თურქი სპეციალისტები კონსულტაციებს გაუწევენ პაციენტებს, მოაწყობენ ერთობლივ კონფერენციებს, ერთმანეთს გაუცვლიან ინფორმაციასა და ა. შ.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა, მისმა პირველმა მოადგილემ ანდრო ღლონტმა, თურქეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ფერჰან ოზმენმა. მათ აღნიშნეს, რომ ოქმის ხელმოწერას დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის ყველა რგოლის სრულყოფისათვის, სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის უფრო ეფექტიანი მეთოდების ძიებისა და დანერგვისათვის. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ეხება არა მარტო კონკრეტულ სამედიცინო ამოცანებს, არამედ ითვალისწინებს თანამშრომლობას ეკოლოგიის, შავი ზღვის დაცვის დარგში, სახავს პერსპექტივებს მეზობელი ქვეყნების საქმიანი ადამიანების მოღვაწეობისათვის.

სს „საქართველო"

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში ხელს აწერენ თანამშრომლობის ოქმს.

გივი ქიქვაძის ფოტო (სს „საქართველო").

მიმართვა
გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს პარლამენტებს...

დღეს, როდესაც ჩვენს თვალწინ სახეს იცვლის მსოფლიო, როდესაც შეიარაღებული დაპირისპირება მშვიდობიან თანამშრომლობას უთმობს ადგილს, როდესაც ევროპის შუაგულში ბოლო მოეღო გერმანელი ხალხის ნახევარსაუკუნოვან ტრაგედიას, როდესაც ცივილიზებული კაცობრიობა ერთსულოვნად აღნიშნავს ადამიანის უფლებათა დღეს, როდესაც პიროვნების უფლებათათვის ბრძოლა კანონზომიერად გადაიზარდა მთელი ხალხების უფლებათათვის ბრძოლაში და სრული დეკოლონიზაციის პროცესში, მით უფრო დაუშვებელია ის ფაქტი, რომ კვლავ ხდება ამა თუ იმ ხალხის ღვთით ნაბოძებ უფლებათა აბუჩად აგდება და იგნორირება.

დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებაც კი იძულებულია მისთვის არატიპიურ პოზიციაზე დადგეს და საჯაროდ დაგმოს ერაყის მიერ ქუვეითის ცინიკური ოკუპაცია, ქართველი ხალხი სრულ თანაგრძნობას უცხადებს რა ბაღდადის დიქტატურის ქვეშ მგმინავ პატარა ერს, ერთხელ კიდევ შეახსენებს მთელ მსოფლიოს, რომ მისთვის სხვაზე უკეთაა ცნობილი, თუ რას ნიშნავს ანექსია და ოკუპაცია, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის უთანასწორო ბრძოლა.

თუმცა ისტორიას არ უყვარს პარალელები, მაგრამ საქართველოსა და ქუვეითის ბედს შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი მხოლოდ ოთხი თვის წინ იქნა ოკუპირებული და ანექსირებული, მეორე კი 70 წლის წინ, ერთს მხოლოდ დღეს ემუქრება ტერიტორიათა დაკარგვის რეალური საფრთხე, მეორესთვის კი ათეული წლებია ამ საფრთხემ პერმანენტული ხასიათი მიიღო, ისევე როგორც ქუვეითის ხალხი არ შეურიგდება ოკუპაციასა და ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვას, არც ქართველი ხალხი დასთმობს სამშობლოს ერთიანობასა და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

სამართლიანობა უნივერსალური მცნებაა და მისი შერჩევით აღიარება უკვე უსამართლობის ტოლფასია. ცივილიზებული მსოფლიო, მხოლოდ მაშინ წარსდგება პირნათლად ისტორიის წინაშე, როდესაც ასევე მტკიცედ და გადაჭრით ამოუდგება მხარში ქუვეითელთა ბედქვეშ მყოფ ყველა ერს, უკანასკნელი იმპერიის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეს-ცენტრი.

10 დეკემბერი. 1990 წ.

ხელისუფლების დერეფნებში

მუდმივმოქმედ კომისიაში

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედ კომისიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ი. ჩხეიძე, განხილულ იქნა საორგანიზაციო საკითხები. შეიქმნა ექვსი კომისია და დამტკიცდა მათი თავმჯდომარეები: მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის — გ. მაქაცარია, ეკოლოგიის — გ. ისაკაძე, მემცენარეობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და კვების მრეწველობის — თ. მდინარაძე, მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების — ე. ჯანელიძე, საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარება-აღდგენის, ქართული სოფლის, ტრადიციული ეროვნული დარგებისა და კულტურების აღორძინების — რ. იოსელიანი, აგროსასურსათო კომპლექსის მომსახურე დარგები — კ. ჩაფიჩაძე, მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნულია დ. ტაბიძე, მდივნად — გ. გოლეთიანი.

სს „საქართველო"

საკუთარ სახლში

ნაბიჯი თანხმობისაკენ

სოხუმში შეიქმნა აფხაზურ-ქართული საზოგადოება, რომელსაც წინ უძღოდა საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეული სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

ამ საზოგადოების მიზანი აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და თანხმობის აღდგენაა, რასაც კმაყოფილებით შეხვდა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა.

ახლახან გაიმართა ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, სადაც საზოგადოების წესდება მიიღეს. საზოგადოების თავმჯდომარედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მუშაკი გურამ გაბუნია აირჩიეს, მოადგილეებად არკადი ხაშბა და ლორენცო შარანგია. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება, ნება დართო, სოხუმის ბიზსოცბანკში გახსნას სპეცანგარიში.

— ამ საზოგადოების შექმნის იდეა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში გ. გაბუნიამ, — დიდი ხანია მომწიფდა ადგილობრივ მოსახლეობაში. ჩვენი მიზანია ქართველთა და აფხაზთა ისტორიული მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის აღდგენა, ნათესაური კავშირის განმტკიცება. ვაპირებთ ვიზრუნოთ ადამიანთა ურთიერთობის გასაღრმავებლად, საზოგადოებაში სიყვარულისა და თანხმობის შეტანისათვის. ღრმად გვჯერა, რომ ყველა რთული საკითხის მოგვარება სახალხო დიპლომატიის, მოლაპარაკების გზით შეიძლება. ახალშექმნილი საზოგადოება აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც გენეტიკურად ორივე მოძმე ერთან არიან დაკავშირებული — შერეული აფხაზურ-ქართული ოჯახების წევრები. პირადად მე დედა აფხაზი მყავს. ასეთი კავშირები აქვს ჩვენი საზოგადოების თითქმის ყველა წევრს. წესდების მიხედვით, საზოგადოების წევრობა 16 წლის ასაკიდან შეიძლება. ჩვენთან არიან სტუდენტები, მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. ახლო მომავალში ვაპირებთ რეგიონული ორგანიზაციების შექმნას აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში. ჩვენს საზოგადოებაში შევლენ თბილისში, მოსკოვში, სხვადასხვა რესპუბლიკებში, უცხოეთის ქვეყნებში მცხოვრები აფხაზურ-ქართული ოჯახების წევრებიც. საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ორივე მოძმე ხალხის ტრადიციების განმტკიცებას, აფხაზურ-ქართული ანსამბლების მოცეკვავეთა და მომღერალთა ჯგუფების შექმნას. განზრახული გვაქვს საკვირაო სკოლების გახსნა, სადაც სურვილის მიხედვით ყველას შეეძლება ისწავლოს აფხაზური და ქართული ენები. ჩვენ ასევე ვიზრუნებთ, რათა ქართველებსა და აფხაზებს შორის მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ ყველანი თავს გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. დასახული მიზნების განსახორციელებლად ფართოდ გამოვიყენებთ სამსახურს, ოჯახს, სახალხო დღესასწაულებს, ქორწილებს... შეიქმნება შერეული კოოპერატივები და მიღებული სახსრები გამოიყენება ამ საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის.

იოსებ გოგეჩია,
საკ. კორესპონდენტი.

შეიქმნა საზოგადოება „არსი"

დღეს საქართველოში მწვავედ დგას მშენებლობის საკითხი, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას. ჩვენ, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება საშენი მასალების წარმოება, და ეს ერთ-ერთი საშური საქმეა საქართველოს აღორძინების მძიმე გზაზე.

დვრიტა იგივე არსია — საფუძველთა საფუძველი. სახლის შენებაც საფუძვლიდან იწყება. ახლადშექმნილი საზოგადოება „არსი", რომლის დაფუძნების ინიციატორიც არის გაზეთი „დვრიტა", საქართველოში საშენი მასალების წარმოებასა და მშენებლობის აღმავლობას შეუწყობს ხელს, საბოლოო ანგარიშით კი, ქართული ოჯახების დაფუძნებას ქვემო ქართლში და ყველგან — სადაც საქართველოს უჭირს.

საზოგადოება „არსის" მიერ აშენებული აგურის ქარხნების პროდუქცია მსოფლიო სტანდარტების დონეზე იქნება. ქართული აგური უნდა გახდეს კონკურენტუნარიანი მთელ მსოფლიოში.

საზოგადოება მზრუნველობას არ მოაკლებს მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, მოწინავე მსოფლიო ტექნოლოგიის დანერგვასა და განვითარებას, ფილოსოფიური, ისტორიული და ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას, რომლის მწვავე დეფიციტსაც განიცდის საქართველო. საზოგადოებას აგრეთვე განზრახული აქვს ქართველ მაყურებელს გააცნოს თანამედროვე კინემატოგრაფისა და თეატრალური ხელოვნების შედევრები, მოაწყოს გამოფენები მსოფლიოს ცნობილი მუზეუმებიდან.

საზოგადოება „არსს" დიდი მისია აკისრია. დიდი ჯაფაც ელის, დიდი ჯაფა და გამოცდა.

გაიმართა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. საზოგადოება „არსის" თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „დვრიტას" რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი.

სოფლის ნებაა...

ოზურგეთი. მიმდინარე წლის თებერვალში, სოფელ კვირიკეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ეკლესიის — წმინდა კვირიკეს აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. ეს საშვილიშვილო საქმე სოფლის მკვიდრმა, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის თანამშრომელმა ჯემალ კეჭაყმაძემ ითავა.

მთელმა სოფელმა მხარი დაუჭირა ამ იდეას. ახლა ქუდზე კაცია გამოსული. საგულდაგულოდ მუშაობენ დასავლეთ საქართველოს სარესტავრაციო უბნის ოსტატები რუბენ ონიანი, გივი ჯლამაძე, ფარვიზ ჯიშკარიანი, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში 25-მდე ეკლესია-ტაძარი აღადგინეს.

წმინდა კვირიკეს ეკლესია სულ მალე გადაიხურება და დაიწყება შიდა სამუშაოები.

ბეგლარ ჩხაიძე,
საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 68 წლისა გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი

ვლადიმერ ილიას ძე კობახიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის ვლადიმერ ილიას ძე კობახიძის დამკრძალავი კომისია ბ. მახარაშვილის თავმჯდომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიდა ქართლი

ნუ დავეწყევლინებით შთამომავლობას

სიმართლე გითხრათ, შეძრწუნებული ვარ იმ უმადურობით, რომელიც ჩემი ერის ნაწილმა გამოიჩინა ქართველების მიმართ. უკვე რა ხანია სეპარატისტული მოძრაობა ოსებისა წყვეტს დიდ ტრადიციაზე დაყრდნობილ კავშირებს, რომელიც აერთებდა ორ ერს — ქართველებსა და ოსებს. მიუხედავად აშკარა გამომწვევი მოქმედებისა, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ზოგიერთის ამბიციები ამ ზღვარს მიაღწევდა — ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უკანონოდ მოინდომებდნენ თავისი შემფარებელი ხალხისა და მიწის გაჯიჯგვნას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ხალხის უმრავლესობა კარგად ხედავს ქართველების უსაზღვრო სტუმართმოყვარეობასა და უანგარობას ჩვენდამი, ე. ი. მოსულეებისადმი, დამოკიდებულებაში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ვერასოდეს შევძლებდით ფეხის მოკიდებას ქართულ მიწა-წყალზე, ვერ შევძლებდით კომპაქტური დასახლებების შექმნას, ენისა და კულტურის შენარჩუნებას. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ამ სიკეთეს ვერ დაინახავს, ამას ჩრდილო ოსეთის მაგალითიც ადასტურებს. იქ ხომ ფაქტობრივად დაკარგულია ენა და მთელი საგანმანათლებლო სისტემა რუსიფიკაციის სამსახურში დგას.

რა ღმერთი გვიწყრება, ნუთუ უმადურობამ ისე დაგვაბრმავა, რომ ჩვენს დამსახლებელ და გამომკვებ ერს ზურგში დანას ვუმარჯვებთ? არასოდეს დავფიქრებულვარ ავტონომიური ოლქის არსებობის მართებულობაზე, მაგრამ როდესაც დაიძაბა ურთიერთობა და უფრო შეგნებით ჩავუფიქრდი იქ არსებულ ვითარებას, აშკარად დავინახე (და ალბათ არც შეიძლებოდა იმის დაუნახაობა), რომ ძალმომრეობით უმცირესობად ქცეული მკვიდრი მოსახლეობა, ესე იგი ქართველები ყველანაირად იჩრდილებოდნენ. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა გაუკუღმართებული საკადრო პოლიტიკით, ამ დროს კი „ადამონ ნიხასი" და მათ ფეხის ხმას აყოლილი ზოგიერთი უბირი საჯაროდ ცილსა სწამებდა ქართველობას, თითქოს ისინი საოცრად ავიწროებდნენ ოსებს(?!) ხალხო, ღმერთი აღარა გწამთ, როგორ შეგიძლიათ ცილი დასწამოთ მათ, თვალის დაუხამხამებლად, ასე უტიფრად. ნუთუ ერთხელ მაინც არ გაგახსენდათ, რომ ამით თვით ჩვენივე მომავლის წინაშე ვიხდით თავს სალანძღავად.

ის, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა, სამართლიანია. დარწმუნებული ვარ, რომ ამით ყველა დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს. ხოლო ურთიერთობა ორ ერს შორის უფრო განმტკიცდება.

ნებისმიერი საღად მოაზროვნისთვის ორივე ერის ტკივილი ერთნაირად უნდა მივიტანოთ გულთან. ამას გვავალებს წარსულისადმი პატივისცემის გრძნობა და რაც მთავარია, ერთად ყოფნის და შეკავშირების განუმეორებელი მაგალითები, რითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი ისტორია.

იზოლდა ბოგულაევა,
ფირმა „ბავშვთა სამყაროს" თანამშრომელი.

ხალხის გულისთქმა

შიდა ქართლის ამბები მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ყოველდღიურად იღებს მრავალ წერილსა და დეპეშას, რომლებშიც გადმოცემულია დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო.

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის" ნაფიცთა საბჭოს მიერ რედაქციისადმი გამოგზავნილ განცხადებაში ნათქვამია: ორგანიზაცია „ლემი" მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევს მთელი ქართველი ერის ნების გამოხატულებად, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის აქტად.

„თბილმარგარინმრეწვის" შრომითი კოლექტივის მიერ გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს 500 თანამშრომელი, აღნიშნულია: სულითა და გულით მივესალმებით და მხარს ვუჭერთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის გაუქმების შესახებ. თავის დროზე ჩვენი ზოგიერთი ბედოვლათი წინაპრის ყოვლად უკანონო და უსაფუძვლო გადაწყვეტილებით მრავალტანჯული და თავისუფლებისათვის მარადმებრძოლი საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამ დიდი სატკივარი და მოუშუშებელი იარა გაუჩინა მის მკვიდრ მოსახლეობას, შეილახა ქართველი ერის ინტერესები, ხელყოფილი იქნა მისი ძირძველი ტერიტორია — სამაჩაბლო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ბოლო დროს ოსი ექსტრემისტების თავაშვებულობამ და ვანდალიზმმა ქართველი მოსახლეობის მიმართ, საზოგადოებრივი სამართლის და კაცთმოყვარეობის ყოვლად აღიარებულ და დაკანონებულ ნორმებს გადააჭარბა. ყოველდღე ვისმენდით ოსი ექსტრემისტების მიერ ჩადენილი ყოვლად აღმაშფოთებელი და აღვირახსნილი მოქმედებების ცნობებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება ნამდვილად დროული და ქართველი ერისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გადაწყვეტილებაა.

— ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს მეშახტეები, — ნათქვამია ამ სამმართველოს დირექტორის ა. კუპრაძის მიერ გამოგზავნილ კორესპონდენციაში, — უდიდეს კმაყოფილებას გამოვთქვამთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების გამო. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს უზენაესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებას და ყველაფერს ვიღონებთ სამეურნეო წარმატებათა მოსაპოვებლად, რესპუბლიკაში წესრიგის განსამტკიცებლად.

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე წამოჭრილმა იდეამ სტიქიურ უბედურებათა შედეგად დაზარალებული სვანებისათვის ცხინვალის მიდამოებში სახლების აგების შესახებ ჩვენი კოლექტივის ერთსულოვანი დაინტერესება გამოიწვია. ჩვენ გადავწყვიტეთ დანაზოგებით იქ ავაშენოთ სამი ტიპური სახლი, როგორც კი პრაქტიკულად ამ საქმის მოგვარება გადაწყდება. ვფიქრობთ, დღეს ასე უნდა ვემსახუროთ სამშობლოს. კოლექტივის სახელით ამ წერილს ხელს აწერენ გაერთიანება, „თბილქალაქმშენის" დიდპანელიანი სახლმშენებლობის № 2 კომბინატის უფროსი ნ. ხარაბაძე და საინიციატივო ჯგუფის უფროსი ი. დათუკიშვილი.

— ხაშურის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და ტექნიკური პერსონალის სახელით გამოგზავნილ წერილში ამ სკოლის დირექტორი რ. ინასარიძე გვწერს, რომ გასაჭირის დროს, როცა გამწვავდა ეთნოკრიზისი, რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად ჩვენ ერთხმად ვუჭერთ მხარს ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას.



გვჯერა სამართლიანი საქმისა

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის" მრავალეროვანი კოლექტივი უდიდესი მოწონებით შეხვდა რესპუბლიკის ეროვნული პარლამენტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ბატონ ზვიად გამსახურდიას არჩევას. ჩვენ ძალიან ბევრს მოველით ახლანდელი ხელისუფლებისაგან. იმედებმა ამთავითვე გაამართლა. ამის დასტურია ახლახან მიღებული კანონი ერთ დროს უკანონოდ და ხალხის საწინააღმდეგოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქის გაუქმების შესახებ. ეს კი უკვე სწორედ ხალხის ნების ნამდვილი გამოხატვაა.

ამჟამად ვაგროვებთ და სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში გადავრიცხავთ სოლიდურ თანხებს, ხოლო როცა იქ ქართული ოჯახების ჩასასახლებლად სახლების მშენებლობა გაჩაღდება, ხელს შევუწყობთ ინერტული სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფაში. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ ერის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში, რომელიც ერთნაირად სანუკვარია საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნებისათვის.

გვჯერა სამართლიანი საქმისა.

შრომითი კოლექტივის დავალებით გაერთიანების გენერალური დირექტორი.

ვიტალი დიდიძე.

ბრამქითხე მოამბე—ანუ როცა კომენტარი მართლაც ზედმეტია

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს

ცნობა

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის" თაობაზე სკკპ პლატფორმის პროექტის განხილვის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი გაცნობებთ, რომ ავტონომიური ოლქის მშრომელებმა დიდი ყურადღებით და ინტერესით აღიქვეს სკკპ პლატფორმის პროექტი „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის" თაობაზე.

შრომით კოლექტივებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს კრებები ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის განსახილველად, მშრომლებს შეაქვთ კონკრეტული წინადადებანი და დამატებანი პლატფორმის სხვადასხვა კართან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა განაზოგადა განხილვის შედეგები, მხედველობაში მიიღო კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც გამოითქვა პარტიულ ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, მეცნიერებთან, ჟურნალისტებთან ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან შეხვედრებზე გამოთქმული კონკრეტული წინადადებანი, და მიზანშეწონილად ცნობს გათვალისწინებულ იქნეს საბოლოო ვარიანტში მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გაამდიდრებდა სკკპ პლატფორმას „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის თაობაზე":

1. მიენიჭოთ ავტონომიურ ოლქებს უფლება იქონიონ თავიანთი კონსტიტუცია, რომელშიც მოცემული იქნება ავტონომიური ოლქის სტატუსის ზუსტი სამართლებრივი განსაზღვრა და კანონმდებლობის წესით დამტკიცდება მისი პრეროგატივები, რომლებიც ამ სტატუსს განსაზღვრავენ ავტონომიური ოლქის კონსტიტუციაში.

2. ამაღლდეს ავტონომიური ოლქების სამართლებრივი სტატუსი, გარდაიქმნან ისინი ავტონომიურ რესპუბლიკებად და გავრცელდეს მათზე ავტონომიური რესპუბლიკების ყველა უფლება.

3. დამტკიცდეს ავტონომიური ოლქის სამართლებრივი სტატუსი და მისი მდგომარეობა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენის სისტემაში.

მიენიჭოთ ავტონომიურ ოლქებს უფლება თავად განსაზღვრონ სახელმწიფო ენა (ოლქების სახელმწიფო ენები).

4. გათვალისწინებულ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციაში იმის შესაძლებლობა და წესი, თუ როგორ გადავა ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქი, ოკრუგი ერთი რესპუბლიკის შემადგენლობიდან მეორე მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში, ან სსრ კავშირის უშუალო დაქვემდებარებაში.

5. საჭიროდ გვესახება შეიქმნას ეროვნული საბჭოები იმ ეროვნული ჯგუფებისათვის, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობენ სხვათა ეროვნულ ტერიტორიებზე და მოწყვეტილი არიან ძირითად ეროვნულ მასივს. ეს საბჭოები გაუძღვებიან ეროვნული კულტურის, ენის, ტრადიციების განვითარების და ა. შ. საკითხებს.

6. უმჯობესად მივვაჩნია რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსი, უნდა იყოს სსრ კავშირის მოქალაქეს სტატუსი.

7. მიენიჭოთ ავტონომიურ ფორმირებებს უფლება იქონიონ ეროვნული სიმბოლიკა — დროშა, გერბი და ჰიმნი.

საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში თავისი ყოველდღიური მუშაობის ქვაკუთხედად დააყენა ნდობა ადამიანების მიმართ, ყოველივე არაორდინალურის, ახლის ძიების შემწყნარებლობა, კეთილმოსურნეობა, ინიციატივის წახალისება, სამხრეთ ოსეთის მოსახლე ყველა ხალხთა ეროვნული ენების, ტრადიციების, კულტურის, ისტორიული ღირებულებებისადმი ყურადღების მაქსიმუმი.

ამასთანავე ჩვენ შეურიგებელ ბრძოლას ვეწევით იმ მოვლენების წინააღმდეგ, რომლებიც შეუთავსებელია ჩვენი იდეოლოგიისა და მორალისათვის.

ჩვენი მთის მხარის კომუნისტები, მშრომელები იწონებენ სკკპ პლატფორმას ეროვნული საკითხის გამო და მიაჩნიათ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე მიღების შემდეგ იგი გახდება ეროვნებათშორისი ურთიერთობის თვისებრივად ახალი, ცხოვრებით ნაკარნახევი კონცეფცია, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმა მოგვიტანს სსრ კავშირის თავისუფალ, თანასწორუფლებიან, დამოუკიდებელ, შინაგანად შეკავშირებულ ეროვნებათა ჭეშმარიტ ერთობას.

ა. ჩიხოევი,
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

1989 წლის 11 სექტემბერი.

პროტესტი?

კავკასი. 13 დეკემბერი. (საქდესის კორ. ვ. შანაევი). ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დღეს გამოაქვეყნა საქართველოს პარლამენტისადმი პროტესტის ტექსტი. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

„ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. პარლამენტის დონეზე ჩადენილია მცირერიცხოვანი ხალხის უფლებათა ფეხქვეშ გათელვის უპრეცედენტო აქტი. აშკარად ნაჩვენებია სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ინტერესებისა და მისწრაფებების უგულებელყოფა.

ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება ქართველი ერის უმდიდრეს ჰუმანისტურ ტრადიციებს, თქვენ აღთქმებს, რომ დემოკრატიული პრინციპების ერთგული ხართ და პატივს სცემთ სხვა ხალხების უფლებებს. ვერ მოიპოვებ ნამდვილ თავისუფლებას, თუ ფეხქვეშ თელავ სხვა ხალხების უფლებებსა და თავისუფლებას. საუკუნეობით მყარდებოდა ქართველი და ოსი ხალხების დამაკავშირებელი "ისტორიული, კულტურული, ღვიძლი ურთიერთობა. ამ კავშირის გაწყვეტის, ყოველგვარი ცდის დამღუპველი, ტრაგიკული შედეგები ცხადზე უცხადესია.

გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გამოიჩენს პოლიტიკურ სიბრძნეს და გააუქმებს მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ ისტორიულ ნაბიჯს ღირსეულად შეაფასებენ ჩვენი ხალხები".



ფოტორეპორტაჟი საავადმყოფოდან

- ნუ გეშინია...
- პირველი ნაბიჯები
- ღმერთო, გვიშველე

სიმონ კილაძის ფოტორეპორტაჟი.



სხვადასხვა

საქართველოს სახალხო პარტიის კონფერენცია

გაიმართა საქართველოს სახალხო პარტიის მეოთხე (რიგგარეში) კონფერენცია. მასზე პოლიტიკური მოხსენება გააკეთა საქართველოს სახალხო პარტიის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ, თანამომხსენება — საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარემ არჩილ იოსელიანმა. მოხსენებისა და თანამომხსენების გამო გამართულ მსჯელობაში სსპ წევრებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა — საქართველოს მრეწველთა კავშირის პრეზიდენტმა ბესიკ ჯუღელმა, საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტის გამგეობის წევრმა ირაკლი მაჭავარიანმა, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტმა, სრულიად საქართველოს ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაციის პრეზიდენტმა თემურ ლოლიჯაშვილმა, საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის გამგეობის წევრმა თამაზ ხორბალაძემ, სრულიად საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში რეპრესირებულთა კავშირის „მამულიშვილის" ვიცე-პრეზიდენტმა კობა მარგველაშვილმა და სხვებმა.

კონფერენციამ გააანალიზა საქართველოს ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს ურთიერთმიმართების, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესში საქართველოს სახალხო პარტიის ადგილისა და როლის გაძლიერების, აგრეთვე საკუთრების ფორმათა თანაბარუფლებიანობის აღდგენისა და მათი ეფექტიანი ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფის საკითხები. გადაწყდა: მსჯელობა აღნიშნულ პრობლემათა შესახებ კვლავაც გაგრძელდეს სსპ პოლიტიკური საბჭოს უახლოეს სხდომაზე, რომელიც გაიმართება ა. წ. 23 დეკემბერს.

კონფერენციამ დაამტკიცა მიმართვის ტექსტი „საქართველოს უზენაეს საბჭოს, საქართველოს ეროვნულ კონგრესს, საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას", მიიღო სსპ ახალი წესდება, აირჩია სსპ პოლიტიკური საბჭოსა და მთავარი კომიტეტის შემადგენლობები. საქართველოს სახალხო პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია არჩილ იოსელიანი.

სს „საქართველო"

სიახლე

ექსპერიმენტი გამოცდილებად იქცა

ინდუსტრიული რუსთავი სწრაფმზარდ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება. ყოველწლიურად ათასობით ოჯახი გადადის ახალ ბინებში. მაგრამ რა დასამალია, რომ ყველა ბინა როდი გამოირჩეოდა ხარისხით: უსწორმასწორო ბათქაში, დაღრეცილ-დაშლილი კარფანჯრები, უგემოვნოდ მიყრილი პარკეტი, ულაზათოდ მოწყობილი სამზარეულო, სანტექნიკური კვანძებიდან მჟონავი წყალი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი სიმახინჯე ხვდებოდა ახალმოსახლეს და ამწარებდა იმ ბედნიერ დღეს. იძულებული იყო ყველაფერზე თავად ეზრუნა, ჩასახლებისთანავე იწყებოდა წვალება, აშენებულის დანგრევა, გადაკეთება, უმაქნისი ხარჯი...

ქალაქის სამშენებლო კომპლექსი სისტემატურად იღებდა ასეთ წინადადებას: საცხოვრებელი სახლები მშენებლობის დამამთავრებელი ეტაპის დასრულებამდე გაგვინაწილეთ, საკუთარი სახსრებით შევასრულებთ კეთილმოწყობის მთელ რიგ სამუშაოებს, ამით მოიგებს სამშენებლო ორგანიზაციაც, მოვიგებთ ჩვენცო. ქალაქის საბჭოს მესვეურებმა მშენებლებთან ერთად ეს წინადადებები სათანადოდ შეისწავლეს, დაამუშავეს და მოქალაქეთა ნებასურვილისამებრ გადაწყვიტეს. საბოლოო სიტყვა თქვა სახმშენმა. ამ უკანასკნელმა არა მარტო მოიწონა ეს ექსპერიმენტი, დადგენილებაც მიიღო მისი გავრცელების შესახებ. ერთი სიტყვით, რუსთაველთა ექსპერიმენტი რესპუბლიკის მასშტაბით აწ უკვე გამოცდილებად იქცა.

რა არის მისი არსი? იგი შემდეგშია, გვიამბობს რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თემურ დალაქიშვილი — უმეტეს შემთხვევებში ახალმოსახლენი ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციების უკმაყოფილონი არიან საცხოვრებელი ბინების კეთილმოწყობის დაბალი ხარისხისა და უგემოვნო-ულაზათობის გამო. დასამალი როდია, რომ გეგმების შესრულების სურვილით გატაცებული მშენებლები ხშირად მიმართავენ იერიშობანას მავნე პრაქტიკას. საშენი მასალების სიმწირე და უხარისხობაც ბოჭავს მათს შემოქმედებას. ამრიგად, ამა თუ იმ სახლის რაც შეიძლება სწრაფად გადაცემის სიჩქარის გამო მთელ რიგ პროცესებს ასრულებენ დაუდევრად, არაპროფესიონალურად და არაკვალიფიციურად. ეს არის მიზეზი იმისა, რომ რუსთავში რომელ საუწყებო ან საქალაქო საბჭოს ფონდის ბინაშიც უნდა მიხვიდეთ, მცხოვრებლებს ხის კარი შეცვლილ აქვთ რკინით, ასევე გამოცვლილია შპალერი, პარკეტი, ფანჯრები, აღებულია ტიხარები, გადაკეთებულია ლოჯიები, სააბაზანოები, აივნები, შეცვლილია ბათქაში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აღნიშნულის შედეგად იხარჯება ძნელად საშოვნი და ძვირად ღირებული ცემენტი, გაჯი, თაბაშირი, ფიცარი, არმატურის თუ ფურცლოვანი რკინა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ. რაც მთავარია, უქმად და უყაირათოდ იფლანგება თანხები, დრო. ყოველივე ეს რომ არ მოხდეს, მომავალ ახალმოსახლეებთან წინასწარ შეთანხმებით უწყებები და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილება წინააღმდეგი არ არიან სახლის. ნაწილი ან მისი ცალკეული ბინები ჩააბარონ ახალმოსახლეებს ჩამოთვლილ სამუშაოთა დამთავრებამდე. მომავალ მობინადრესთან შეთანხმება წინასწარ ოფიციალურად ფორმდება.

საქალაქო საბჭოს აღმასკომში ნათქვამი კიდევ უფრო დააკონკრეტეს, დაწვრილებით აგვიხსნეს, თუ როგორ ხდება ყოველივე აღნიშნულის გაფორმება: — ბინები შესახლებამდე განაწილდება დადგენილი რიგის მიხედვით, — თქვეს აქ, — ამის შემდეგ შეიძლება გაფორმდეს სათანადო ხელშეკრულება მოქალაქესთან. თუ სახლი კოოპერატიულია, მაშინ მოწვეულ უნდა იქნეს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება და შედგეს სათანადო ოქმი. ყველა შემთხვევაში ხელშეკრულებასა და ოქმში უნდა აღინიშნოს იმ სამუშაოთა ნუსხა, რომელთა შესრულებას საკუთარი სახსრებით კისრულობენ მომავალი მობინადრენი.

— ხომ არ უქმნის ეს დამატებით პრობლემებს საქალაქო საბჭოს აღმასკომს? ამ შეკითხვაზეც დასაბუთებული პასუხი მივიღეთ:

— რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი მომავალ მობინადრეთა ოფიციალური თანხმობის საფუძველზე საცხოვრებელი სახლების სავარაუდო დამთავრებამდე არანაკლებ ოთხი თვით ადრე მშენებლებს გადასცემს ბინებისა და შესასრულებელი სამუშაოების საჭიროებების დაზუსტებულ ნუსხებს. ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე მშენებელი ორგანიზაცია ვალდებულია დაამთავროს პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თბოფიკაციის, გაზიფიკაციის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, რადიოფიკაციის, სალიფტო მეურნეობის, სადარბაზოების, საერთო სარგებლობის სხვა ადგილების აღჭურვის ყველა სამუშაო. ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემამდე კი მომავალ ახალმოსახლეს ნება ეძლევა თავის ხარჯზე შეცვალოს ბინის შესასვლელი კარი, შეასრულოს კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები მშენებლებთან შეთანხმებით, დიახ, მშენებლებთან შეთანხმებით და არა ისე, როგორც მოეპრიანებათ. ახალმოსახლეებს ეკრძალებათ შეიტანონ რაიმე ცვლილებები შენობის არქიტექტურულ იერსახეში, შეცვალონ ბინების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი პრინციპები, დაარღვიონ გეომეტრიული ზომები, ზიანი მიაყენონ ნაგებობის სიმტკიცეს. უნდა ითქვას, რომ ამ მეთოდით მუშაობის პირობებში მობინადრენი შედარებით ნაკლებად მიმართავენ გადაკეთებებს, რადგან იციან, რომ აღნიშნულის დაშვებისას სახლი საექსპლოატაციოდ მანამ არ მიიღება, სანამ არსებული დარღვევები დაუყოვნებლივ არ გამოსწორდება.

რუსთავში ახლა ბევრი მშენებელი ჩამოდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან და ეცნობიან ექსპერიმენტს. თითქმის ყველა ერთნაირად არის დაინტერესებული, თუ როგორ გამოიყენება დაზოგილი სახსრები და საშენი მასალები. და ქალაქის ხელმძღვანელებს სწორედ ამ კითხვას უსვამენ, პასუხი ერთია, — დაზოგილი სახსრების ოდენობა განისაზღვრება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და დადგენილი ნორმებისა და საფასურების თანახმად, რჩება იგი შემკვეთის განკარგულებაში და გამოიყენება საბინაო მშენებლობის ახალი ობიექტების აგებისა და სამშენებლო ბაზის გაფართოებისათვის. ანგარიშსწორება ხორციელდება სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების მეშვეობით. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საშენი მასალების დაზოგვას დღევანდელი დეფიციტის პირობებში, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივისტები ყველაფერს ღონობენ, რათა გეგმიანად წარმართონ სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვა, განამტკიცონ ეკონომიკა, მტკიცედ შეუწყონ ხელი საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობასა და აყვავებას. ამიტომაც საქმეს შემოქმედებითად და მიზანსწრაფულად წარმართავენ, უკანასკნელ ხანს ბევრი კეთილშობილური თაოსნობის ინიციატორები გახდნენ, რასაც უკვე დიდი სიკეთე მოაქვს.

დავით ბიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეა

თავისუფლების სიმბოლო — შადრევანი

საქართველოს განახლების საქმეს თანამედროვე პირობებში კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და სულიერი ურთიერთობების განხორციელებას ემსახურება.

ამ მხრივ გათვალისწინებულია და წარმოებს უცხოეთის ქვეყნებთან პირდაპირი კავშირები, რაც მიზნად ისახავს განახლებაში საერთაშორისო დონის მიღწევას სამამულო და საზღვარგარეთის საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით.

აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა წლეულს გაზაფხულზე გაზეთ „ახალ საქართველოში" დაბეჭდილი საუბარი ილია ჭავჭავაძის (წმ. ილია მართლის) სახელობის ქართულ ევროპიულ ინსტიტუტთან.

ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში უნდა ვეცადოთ თვითშეფასების სისტემის ნაცვლად გამოვიყენოთ სპეციალისტების ექსპერტიზის შედარებითი სისტემა, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები და ეროვნული ემოციებით შეფერებული არასპეციალისტთა დილეტანტური მოსაზრებანი.

ამჯერად შევეხებით ერთ საკითხს: თბილისის მთავარ მოედანზე მონუმენტის განხორციელებას.

ცნობილია, რომ თბილისის საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილებით დაიწყო დედაქალაქის მთავარი მოედნის რეკონსტრუქცია. მას შემდეგ, რაც აქ აიღეს ძეგლი, მოედანი განიტვირთა. ამავე დროს აქვე წარმოიშვა ახალი ე. წ. „მცირე მიწა". ამასთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა აზრი. ჩვენ ყველა წინადადების მიმართ დადებითად ვართ განწყობილი და პატივსა ვცემთ მათ.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის ტელევიზიისათვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში საკმარისად კვალიფიცირებულად იყო დასაბუთებული, რომ ამ მოედანზე ქანდაკების დაყენება პროფესიონალური თვალსაზრისით შეუძლებელია, ხოლო სხვა წინადადებაზე მან თავი შეიკავა. აღნიშნულთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას.

— ბატონო მერაბ, როგორია თქვენი აზრი ქალაქის მთავარ მოედანზე ძეგლის დადგმის შესახებ?

— პირველ ყოვლისა ხაზს ვუსვამ, რომ ჩემს აზრს თავს არავის ვახვევ, იგი ჩემი თვალსაზრისია. რაც შეეხება შეკითხვას, ჩემის აზრით, იქ ძეგლის ადგილი არ არის. ამას არც გარემო უწყობს ხელს, არც ტერიტორია და არც მიმართულება. აქ ძეგლის ორიენტაციაა — ჩრდილოეთი, რაც ყველაზე უარესი გარანტია არის ძეგლის დადგმის თვალსაზრისით. იგი არ მიმაჩნია მომგებიანად, რადგანაც ძეგლი უნდა მუშაობდეს ადგილმდებარეობაზე. აქ ამ მხრივ ძეგლს ბევრი წინაღობა აქვს, ჯერ ერთი, თვით დახურული გარემო და, რაც მთავარია, მისი ორიენტაცია — რუსთაველის გამზირის მიმართულებით. ეს კი პროფესიული თვალსაზრისით არასასურველია, ჩრდილოეთის ორიენტაცია თავის მხრივ იძლევა ძეგლის განათებას უკანა მხრიდან, ასეთი განათება კი მოგვცემს კონტრაჟურს, რის გამოც ძეგლის გამოსახულება დაიკარგება, რადგან მივიღებთ მის სილუეტს.

— კეთილი. თუ ძეგლის დადგმა აქ შეუძლებელია, მაშინ რა შეეფერება თავისუფლების მოედანს, რით გავამდიდროთ იგი მხატვრულად და შინაარსობრივად, საერთოდ თუ შესაძლებელია აქ რაიმეს გაკეთება?

— მიმაჩნია, რომ აქ მოედანი თხოულობს დომინანტის აქცენტს, თავის სამშობლოს, მითუმეტეს, რომ მოედნის სახელწოდებაც თავისუფლებაა.

რაღა დაგიმალოთ, უკვე ვიფიქრე ამ საკითხზე, შევიმუშავე ჩემი აზრი და თემაც დავამუშავე ესკიზურად.

მივედი იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან ეს თავისუფლების მოედანია, შესაძლებლად მიმაჩნია აქ გაკეთდეს ძალიან ლამაზი და დიდი — თავისუფლების შადრევანი, იგი შესაძლოა გაკეთდეს ორგვარი სახით. ერთი სუფთა წყლის კომპოზიციით, რომელსაც შექმნიდა წყლის ჭავლები და მეორე, რომელსაც უპირატესობას ვანიჭებ, შადრევნების კომპოზიცია ქანდაკებებით, სკულპტურული ჯგუფებით, რომელთა ზომა შეფარდებული იქნება გარემოსთან.

თუკი ეს შესაძლებელი იქნება, მაშინ, ჩემი წარმოდგენით, შადრევანის დომინანტი უნდა იყოს სკულპტურულ ჯგუფში წმინდა გიორგის ცხენოსნის ქანდაკება, რომელიც ებრძვის ურჩხულს წყლის ჭავლების გამოყენებით.

ვინაიდან ასეთი კომპოზიცია სიმბოლური იქნება და თან ახლავს აგრეთვე დეკორატიული მოტივიც, საშუალება მოგვეცემა წყლის ჭავლის შესანიშნავი გამოყენებისა. აქ საყურადღებოა ისიც, რომ, როცა წყლის ჭავლი არ მოქმედებს, მაშინ იმუშავებს სკულპტურული ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ საქართველო წყაროების ქვეყანაა, ჩვენ კი განებივრებული არა ვართ შადრევნებით. ამ დროს კი შადრევანი აცოცხლებს, ახმაურებს და ალამაზებს გარემოს. ავიღოთ თუნდაც შესანიშნავი შადრევანი სასტუმრო „ივერიასთან", ვაკის პარკში და ა. შ. იმედი მაქვს, რომ ასეთი კომპოზიცია რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში სილამაზის გარდა შემოიტანს დიდ გამოცოცხლებას.

— ბატონო მერაბ, როგორ მიგაჩნიათ ასეთი კომპოზიციისათვის ფერადი განათების და ქართული ხალხური მუსიკის (ქორალების) გამოყენება?

— რა თქმა უნდა, საღამოხანს ფერადი განათება კიდევ უფრო გაამშვენიერებს გარემოს, თუ კი აქ თანამედროვე ელექტრონიკაც გამოიყენება. ასეთია ჩემი აზრი და სხვა ალტერნატივას მე ვერ ვხედავ. თუკი ვინმეს დაინტერესებს ჩემი მოსაზრება და ესკიზური პროექტი, ყოველთვის მზად ვარ ვითანამშრომლო მათთან, პირადად გავუწიო კონსულტაცია ჩემი კომპეტენციის ფარგლებში.

ცხადია, ასეთი ობიექტის განხორციელება მოიცავს სამუშაოების დიდ მოცულობას საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციიდან მის დამთავრებამდე. აქ კი უეჭველად მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა ნიჭიერი მოქანდაკეები, მხატვრები, არქიტექტორები, სხვადასხვა დარგის ინჟინრები (ჰიდროტექნიკოსები, ჰიდრომექანიკოსები, სინათლის და ელექტრონიკის სპეციალისტები). შადრევანს თავისი რთული სპეციფიკა აქვს. ამას კი დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის ასეთი შადრევნების ანალოგები და პროტოტიპი საზღვარგარეთ, რა ნაკლი აქვთ მათ, რა შეიძლება გამოვიყენოთ და რა არა?

— მე კარგად ვიცნობ საზღვარგარეთის შადრევნებს, იტალიაში, ესპანეთში, საბერძნეთში და სხვაგან. ჩემი წინადადება წარმოშვა სწორედ ასეთი შადრევნების არსებობამ საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაში. მათი გამოყენების გამოცდილებამ მოითხოვა მეზრუნა ამაზე. ამავე დროს მიმაჩნია, რომ ამ შადრევნების მიმსგავსება და ანალოგების გამოყენება არ გამოგვადგება. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენებური, ქართული ნაციონალური სულიდან გამომდინარე ნაწარმოები. ეს უნდა იყოს თავისუფლების გამომხატველი შადრევანი და არა ისეთი, რომ ყველამ წაიკითხოს იგი თავისად, არამედ განსხვავებული, ქართულ სულში გადაწყვეტილი. მაგალითად, პეტერგოფის შადრევნები შექმნილი იყო დასავლეთ ევროპის ანალოგებზე, ამიტომ მას ნაციონალური ღირებულება არა აქვს. კარგი მაგალითი იქნებოდა თუ გავიხსენებთ ქართულ ნაციონალურ ასიმეტრიულ არქიტექტურას.

— რა სჭირდება ასეთი შადრევნების ექსპლოატაციას?

— შადრევნები უცხოეთში საოცრად გამართულია და მოვლილი. იგრძნობა ამ შემოქმედების მაღალი კულტურა. მაგრამ მიუხედავად ამისა არსად არ არსებობს შადრევნები, რომლებიც განუწყვეტლივ მუშაობენ. არის პერიოდები, როდესაც ისინი არ მოქმედებენ გასუფთავების ან პროფილაქტიკის მიზნით, მექანიკური ან სხვა სისტემის შეკეთებით და სხვა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი წინადადება — შადრევნების შესრულება სკულპტურული ჯგუფით — გამართლებულია.

წმინდა გიორგის ქანდაკებას, როგორც თავისუფლების სიმბოლოს, ექნება ზემოქმედების ძალა, როგორც წყლის ჭავლის მუშაობის დროს, ისევ მის გარეშე. წარმოიდგინეთ შადრევანი, რომელიც არ მუშაობს და გაშიშვლებულია მილის თავები, საიდანაც ჩვეულებრივ წყლის ჭავლი მოედინება. ეს ულამაზოა. და თუ ამ დროს იმუშავებს სკულპტურული ჯგუფი, ეს საოცრად მიმზიდველი იქნება.

თუკი ჩემს წინადადებას მოიწონებენ, უთუოდ წარმოიშვება მრავალი პრობლემა, რომლებიც გზადაგზა გადაწყდება, ამიტომ კვლავ ვიმეორებ, მზად ვარ ვითანამშრომლო ყველა დაინტერესებულ პირთან.

ესაუბრა
თენგიზ სალია,
ჟურნალ „გამომგონებელი და რაციონალიზატორის" საქ. კორესპონდენტი.

ხიდი

ქართული ჩანგი არაბულად ჟღერს

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის სირიაში გამოვიდა საიუბილეო კრებული, რომელშიც შევიდა პოემა „გამზრდელი" და მწერლის რჩეული ლირიკა. ნაწარმოებები არაბულ ენაზე თარგმნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გურამ ჩიქოვანმა და სირიელმა მწერალმა ნიზარ ჰალილმა. კრებული გამოსცა სირიის საქმიანი წრეების ცნობილი წარმომადგენლის, ჩვენი, აწ განსვენებული თანამემამულის ლევან სადარაძის ვაჟმა ნიკოლოზ სადარაძემ. წიგნის მომზადებაში, რომელიც შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია.

— არაბ მკითხველამდე ქართული პოეზიის განუმეორებელი სილამაზის მიტანას აი უკვე რამდენიმე წელია ცდილობენ ლიტერატურული მოღვაწეები ნიზარ ჰალილი, შავქათ იუსუფი, გამომცემელი ტოროს ტორანიანი, — თქვა სს „საქართველოს" კორესპონდენტთან საუბარში გ. ჩიქოვანმა. — მათი აქტიური მოღვაწეობის წყალობით არაბი მკითხველი პირველად გაეცნო ქართული ლიტერატურის მარგალიტებს, არაბულ ენაზე აჟღერდა რუსთაველის ჯადოსნური სტრიქონები, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ლირიკული ლექსები. გარდა ამისა, არაბულად ითარგმნა ჩვენი თანამედროვე მწერლების მოთხრობებიც. ერთობლივი მუშაობა საშუალებას მოგვცემს განვაგრძოთ ეს საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ-არაბული ლიტერატურული კავშირურთიერთობის განვითარებას. მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და სირიის კულტურის სამინისტროს თარგმანის განყოფილების თანამშრომლობის პირველი ნაბიჯია მრავალტომიანი თანამედროვე ქართველი პროზა. პუბლიკაცია გამოვა სირიის მხარის ხარჯზე.

შემდგენელი მრავალტომეულის, თარგმანები კი ეკუთვნის შავქათ იუსუფს, სხვათა შორის, იგი ხელმძღვანელობს თარგმანის განყოფილებას. უკვე გამოსაშვებადაა მომზადებული პირველი ტომი, რომელშიც წარმოდგენილია ნოდარ ჯავახიშვილის ნაწარმოები „კვაჭი კვაჭანტირაძე". ვაპირებთ კიდევ სამი ტომის გამოშვებას, რომლებშიც შევა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება", გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი". სირიის კულტურის სამინისტროს ხარჯზე, რომელსაც თავისი გამომცემლობა აქვს, არაბულ ენაზე გამოვა აგრეთვე ქართული პოეზიის ანთოლოგია.

ერთობლივი მუშაობის მიზანია გავაცნოთ სირიის საზოგადოებრიობას, რომელიც დიდი ხანია იჩენს ინტერესს ქართული კულტურისადმი, ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

ანთოლოგია შეადგინა გ. ჩიქოვანმა. მის და ნიზარ ჰალილის თარგმანებში მოცემულია ქართული პოეზიის ფართო პანორამა V საუკუნიდან დაწყებული და ჩვენი დღეებით დამთავრებული. თვით ნაწარმოების გარდა მოცემულია ეპოქის მოკლე მიმოხილვა, ბიოგრაფიული მონაცემები. არაბულ ენაზე პირველად იქნება წარმოდგენილი ქართველი მეფეების — დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველის, თამარ მეფის, თეიმურაზის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის პოეტური შემოქმედება. აქ ისინი წარმოგვიდგებიან როგორც არა მარტო ნიჭიერი პოეტები, არამედ ჰუმანისტი — განმანათლებლები, ღვთისმეტყველები. თუ გავითვალისწინებთ, რომ არაბულ ენაზე ძალზე შეზღუდული ცნობებია საქართველოს ისტორიის შესახებ, მაშინ ანთოლოგიამ როგორმე უნდა შეავსოს ეს ხარვეზი. აქვეა აგრეთვე არაბული წყაროებიც. მაგალითად, როცა საქმე ეხება დავით აღმაშენებლის ეპოქას, მოხსენიებულია იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიქი, რომელიც XII საუკუნეში მოხვდა საქართველოში, დაიწყო სამსახური დავითის ვაჟთან დემეტრე პირველთან და შემდეგ დატოვა ეპოქის აღწერა და ცნობები ამ მეფეებზე. ანთოლოგიაში შევიდა აგრეთვე რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა პოემები და ლექსები. ანთოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე თარგმნილია, მალე დასრულდება მუშაობა ავტორთა ბიოგრაფიულ მონაცემებზე. როგორც შავქათ იუსუფმა აღნიშნა, არაბულ ენაზე რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემამ გაუხსნა გზა ქართულ ლიტერატურას არაბულ სამყაროში, ხელი შეუწყო ქართულ-არაბული ლიტერატურული კავშირურთიერთობის განმტკიცებას.

შარშან გ. ჩიქოვანი ეწვია დამასკოსა და ალეპოს, სადაც წაიკითხა ლექციები. მაშინ მან დასვა საკითხი საქართველოში სირიელი სტუდენტების ან ახალგაზრდა მეცნიერების სტაჟირების შესახებ იმ მიზნით, რომ მათ შეისწავლონ ქართული ენა და შემდგომში შეავსონ ქართული ენიდან მთარგმნელთა მცირერიცხოვანი რაზმი. ამ იდეამ გამოხმაურება პოვა, და მიმდინარე წელს ახალგაზრდა ლიტერატორი ქალი ღადა ჯავიში ჩამოვიდა თბილისში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე იგი ერთი წლის განმავლობაში შეისწავლის ენას. ღადას აინტერესებს საქართველოს ისტორია, ფოლკლორი და ეთნოგრაფია, და მომავალში, როგორც გვითხრა, აპირებს ამით თავისი სირიელი კოლეგების დაინტერესებას. თვით იგი განათლებით ფილოლოგი, ალეპოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, არის თარგმანების წიგნის ავტორი, თუმცა ჯერჯერობით, ინგლისური ენიდან. იგი აპირებს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ქართველოლოგიასა და მთარგმნელობითს საქმიანობას.

ალა ქიქოძე,
სს „საქართველოს" კორ.

საზღვარგარეთ

სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს გადაწყვეტილების შესახებ

ვაშინგტონი. ოთხშაბათს ბრიფინგის დროს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ წარმომადგენელს მ. ტატუაილერს დაუსვეს კითხვა, რა პოზიციას ადგას შეერთებული შტატები საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე „ჩვენი ძველი პოზიცია, — უპასუხა მან, — ის არის, რომ ჩვენ ვცნობთ საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ მთლიანობას 1927 წლის მდგომარეობით... თუ 22 წლის... იქნებ 27 წლის... ახლა არ მახსოვს... ჩვენ ვცნობთ მათ სუვერენულ ტერიტორიას".

რედაქციის მინაწერი: აი, ასეთი ინფორმაცია გაავრცელა საკდესმა, რომლის ოპერატიულობამ, განსაკუთრებით კი ლაკონიურობამ არ შეიძლება აღფრთოვანება არ გამოიწვიოს. ამ რამდენიმე სტრიქონით თუ ვიმსჯელებთ, მ. ტატუაილერს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საბჭოთა კავშირ-შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიაზე (რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით სსრკ ისტორიაზე), ვინაიდან ორმა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 1933 წელს და ამდენად ვაშინგტონს უნდა ეცნო საბჭოთა კავშირი სწორედ ამ წელს არსებულ საზღვრებში. თუმცა, ეს პირადად მ. ტატუაილერის და სახელმწიფო დეპარტამენტის პრობლემაა. უფრო სამწუხარო ალბათ ის არის, რომ ვაშინგტონის პოზიცია დღეს სწორედ იმაში მდგომარეობს, არ გამოხატოს თავისი ოფიციალური დამოკიდებულება რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებისადმი, განსაკუთრებით ისეთი ფორმით, რომელიც ოდნავ მაინც ჩრდილს მიაყენებს და შეასუსტებს პრეზიდენტ გორბაჩოვის პოზიციას. ამასაც მოეძებნება ახსნა და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ახლა საკდესის შესახებ. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო სააგენტო საყოველთაოდ არის ცნობილი, როგორც დეზინფორმაციის წყარო. თუ საერთოდ მისაღებია საინფორმაციო იმპერიალიზმზე საუბარი, ამის საუკეთესო მაგალითად სწორედ საკდესი გვევლინება. ეს სააგენტო ყოველდღიურად დაწვრილებით გვამცნობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თუ სალვადორში, გვატემალასა თუ ანგოლაში მომხდარ ამბებს (თუმცა ხშირად უპირატესობას ანიჭებს გაფიცვებს, ტერორისტულ აქციებს თუ სტიქიურ უბედურებებს), სამაგიეროდ, საგულდაგულოდ უვლის გვერდს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინფორმაციას, რომელმაც ბევრ, ერთი შეხედვით, გაუგებარ მოვლენას შეიძლება მოჰფინოს ნათელი. რა შეიძლება შევიტყოთ ზემოთ ხსენებული ცნობიდან, გარდა იმისა, რომ მ. ტატუაილერი... თუმცა, ეს უკვე ითქვა. განა საინტერესო არ არის, რას მიეძღვნა აღნიშნული ბრიფინგი (იქნებ ე. შევარდნაძის სამუშაო ვიზიტის შედეგებს?), ვინ, რომელი ქვეყნის ჟურნალისტმა და რა ფორმით დასვა ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეკითხვა და ბოლოს, განა თვით საკდესს არ გააჩნია პოზიცია ამ არცთუ მწყობრ პასუხთან დაკავშირებით?!

შესაძლოა, ეს კომენტარი ვინმემ გაზვიადებადაც ჩამოგვართვას, მაგრამ ღრმად ვართ დარწმუნებული: სანამ საქართველო საკდესის ინფორმაციაზე იქნება დამოკიდებული, ჩვენ ყოველთვის ბუნდოვანი წარმოდგენა გვექნება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ისევე როგორც მსოფლიო ვერასდროს ზუსტად ვერ შეიტყობს, თუ რა ხდება საქართველოში. ამ მოჯადოებული წრიდან გამოსავალი უნდა ვეძებოთ.

„ინკელი": პროგრესი ჰარმონიის მეშვეობით

რას ნიშნავს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთის მცხოვრებთათვის საფირმო ნიშანი „ინკელი"? ეს, უწინარეს ყოვლისა ხარისხის და ხანგრძლივი მოხმარების გარანტიაა. ამ ფირმამ 70-იანი წლების შუა პერიოდში მოიპოვა სახელი, მაგრამ ახლა იგი სამხრეთ კორეის აუდიო აპარატურის ბაზრის 40 პროცენტს აკონტროლებს. დღეს მისი ექსპორტის მოცულობა წელიწადში 100 მილიონ დოლარზე მეტს [illegible]. რა არის ასეთი სწრაფი აღმავლობის საიდუმლოება?

საქმე ის არის, რომ „ინკელის" ფირმის შემქმნელებმა თავიდანვე გეზი აიღეს წარმოებაში თანამედროვე იაპონური და სამამულო მენეჯმენტის მიღწევათა დანერგვაზე. ფირმის პრეზიდენტს ჩო დონგ სიკს მიაჩნია, რომ ნამდვილად ხარისხიანი პროდუქციის გამოშვება შეუძლიათ თავისი ფირმის ერთგულ ადამიანებს, რომელთათვისაც არ არსებობს დისციპლინის პრობლემა და ეჭვს არ იწვევს სათუთი დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც სამუშაო პროცესს შეადგენს. „ინკელში" დაკავებულმა 3 ათასმა მუშამ და მოსამსახურემ არ იცის, თუ რა არის კადრების დენადობა: ფირმის მუშახელის ნახევარს ათ წელზე მეტი მუშაობის სტაჟი აქვს, ხოლო 80 პროცენტმა გამოთქვა სურვილი, მთლიანად მას დაუკავშიროს თავისი შრომითი ცხოვრება.

სამუშაო დღე აქ აუცილებელი გამაჯანსაღებელი ვარჯიშით იწყება, რომელშიც, სხვათა შორის, პრეზიდენტიც მონაწილეობს. ვარჯიშები დამღლელი არ არის და მხოლოდ მხნეობას ჰმატებს თანამშრომლებს. ყოველ საამქროში გამოკრულია პლაკატი, რომელიც წუნის პროცენტს ასახავს. ყოველ მუშას შეუძლია სპეციალურ კონვერტში ჩადოს თავისი წინადადებები ამ წუნის დაძლევის მიზნით. ყოველ წინადადებას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს და ინიციატივა ანაზღაურდება სარგებლიანობის შესაბამისად. უშუალოდ საწარმოებში გახსნილია სოციალურ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც მოიცავს კლუბს უამრავი ინტერესების წრეებითურთ და სპორტულ სექციებს, საცურაო აუზს, უცხო ენების კლასს, სალექციო დარბაზს. ყველა მსურველს შეუძლია ისწავლოს არა მარტო ის, რასაც წარმოება მოითხოვს, არამედ ნებისმიერი მისთვის საინტერესო ხელობაც, მაგალითად, გაიაროს სტენოგრაფიის კურსი. „ინკელს" გააჩნია საკუთარი ნამდვილად სამოყვარულო გუნდი, ფეხბურთისა და ფრენბურთის გუნდები. მთავარია, რომ ადამიანებს არ უხდებათ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სხვა საშუალებების ძებნა — ყველაფერი აქვეა, სამუშაო ადგილთან.

„ვინაიდან ჩვენი ბიზნესი ჩვენი მუშების შრომის ნაყოფია, — ამბობს პრეზიდენტი ჩო დონგ სიკი, — შემოსავლის განაწილებისას ვხელმძღვანელობთ ფორმულით „3-3-3". ეს ნიშნავს, რომ მთელი სახსრების მესამედი მუშების ხელფასს ხმარდება, მესამედი გადაეცემა ჩვენს აქციონერებს, დანარჩენი კი ახალი ინვესტიციებისათვის გამოიყენება. ეს სისტემა საშუალებას გვაძლევს სამართლიანად შევაფასოთ ყოველი ადამიანის წვლილი საერთო საქმეში, შევქმნათ ცხოვრებისა და დასვენებისათვის მაქსიმალურად კარგი პირობები. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მუშათა კოლექტივი იგივე ოჯახია, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთსასარგებლო ინტერესებს ეფუძნება".

სურათზე: შესვენებისას ფირმის პრეზიდენტი ხშირად უერთდება მოსამსახურეებს. რათა იცოდეს, ვის რა აწუხებს.

საკდესის ფოტოქრონიკა

ვიზიტი თურქეთში

ანკარა. დაიწყო თურქეთში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი, რომელიც ამ ბოლო 25 წლის მანძილზე საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის პირველი სტუმრობაა ანკარაში. მაგრამ მისი მნიშვნელობა მარტო ამით როდი განისაზღვრება. საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა, რომელსაც ამ ბოლო ხანს გარკვეული დინამიკა მიენიჭა, მისი დიდი პოტენციალის ნამდვილი გამოვლენის მიჯნაზეა. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ასპექტიც: თურქეთს დიდი წვლილი შეაქვს სრულიად ევროპის პროცესის წინსვლაში, მისი ხმა მკაფიოდ გაისმის მსოფლიო ასპარეზზე.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის დიალოგის თემების მრავალფეროვნება გამოვლინდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. კ. ალპტემოჩინთან ე. შევარდნაძის პირველსავე საუბარში. სჯა-ბაასმა გამოავლინა საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის პერსპექტივებისადმი მიდგომების პრინციპული დამთხვევა: ყოველმხრივი კავშირურთიერთობის განვითარებისადმი ორივე მხარის პოლიტიკური ნება მომავლის რწმენას გვინერგავს. სპარსეთის ყურეში სიტუაციის შესახებ საფუძვლიანმა აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ პოზიციები პრაქტიკულად ემთხვევა ერთმანეთს იმაში, რაც ეხება ერაყის მოქმედების შეფასებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ცნობილი რეზოლუციების რეალიზაციის გზებზე კრიზისიდან მშვიდობიანი გამოსვლის უპირატესობას.

საბჭოთა კავშირსა და თურქეთის საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ დასაბამი მიეცეს შავი ზღვის ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის მოძრაობას და კონკრეტული თვალსაზრისით წარმართონ საქმე, რათა მოამზადონ შესაბამისი თათბირი შავი ზღვის ქვეყნების, აგრეთვე შავი ზღვისაკენ მიმსწრაფი სხვა სახელმწიფოების, პირველ ყოვლისა დუნაისპირა სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების, ეკოლოგიური უწყებების ხელმძღვანელთა დონეზე.

ფართო პერსპექტივები

წლეულს, 5 დეკემბერს ავსტრიის პრესის სააგენტომ აპა-მ გადასცა ინფორმაცია, რომელიც მრავალ ავსტრიულ გაზეთში დაიბეჭდა და, ბუნებრივია, ჩვენი ინტერესიც გამოიწვია:

იმ დროს, როდესაც დასავლეთში თავისი წარმატებული საგარეო პოლიტიკისათვის გორბაჩოვი დამსახურებულ ქება-დიდებას იღებს, შიდასამეურნეო პოლიტიკაში იგი ბევრ შეცდომას უშვებს. ძირითადად ამ შეცდომების გამოა, რომ საბჭოთა კავშირი საშიშ ეკონომიკურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ამ სიტყვებით გააკრიტიკა კრემლის შეფი ამ ოთხშაბათს ვენაში მენეჯერთა კლუბში გამართულ ღონისძიებაზე თბილისის მენეჯერთა სკოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლევან გველესიანმა.

საბჭოთის რესპუბლიკა — საქართველო ესწრაფვის მოსკოვისაგან სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. თავისუფალი, დემოკრატიული და სუვერენული, ევროპულად ორიენტირებული საქართველო წარმოადგენს არაკომუნისტურ პარტიათა გაერთიანების „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ძირითად მიზანს, რომელმაც კავკასიის ამ რესპუბლიკაში პირველად გამართული მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ერთპიროვნულ გამარჯვებას მიაღწია.

პრეზიდენტ გორბაჩოვისეული სამოკავშირეო ხელშეკრულება თბილისის ახალმა ხელმძღვანელობამ უარყო, რადგან მოსკოვი თავდაცვითს და საგარეო პოლიტიკაში კომპეტენციას ინარჩუნებს. საქართველო, რომელსაც საბოლოოდ საბჭოთა ჯარის თავისი ტერიტორიიდან გაყვანა და ნეიტრალური სტატუსის მიღწევა უნდა, მოითხოვს სუვერენიტეტს ამ ორივე სფეროში, აგვიხსნა გველესიანმა.

გველესიანი, რომლის სკოლაც ქართველ მენეჯერებს ამერიკულ ყაიდაზე ანათლებს, აპირებს დასავლეთის დაინტერესებულ ფირმებს კონსულტაცია გაუწიოს საბჭოთა კავშირში კოოპერაციისათვის. ავსტრია-საქართველოს სამეურნეო თანამშრომლობის შესაძლებლობათაგან მან აღნიშნა ფრიად პერსპექტიული და იაფი სანაოსნო გზა დუნაი-შავი ზღვის გავლით.

საქართველო, 5-მილიონიანი რესპუბლიკა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე კავკასიაში. უწინარესად აგრარული ქვეყნის ძირითადი პროდუქტებია ჩაი, ციტრუსი და ყურძენი.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა ბატონ ლევან გველესიანს და სთხოვა უფრო დაწვრილებით მოეთხრო ავსტრიაში მოგზაურობის შესახებ.

ავსტრიაში მოკლევადიან სამეცნიერო მივლინებაში გახლდით. ჩემს ძირითად მიზანს ვენის მეურნეობის განვითარების ინსტიტუტში მართვის ფსიქოლოგიაში არსებული გამოცდილების შესწავლა წარმოადგენდა. თუმცა ორი არანაკლებ მნიშვნელოვანი პირადი მიზანიც მქონდა: საქართველოს შესახებ სიმართლის გავრცელება და ავსტრიის ბიზნესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარება. ვენაში, ზალცბურგში, გრაცში, სხვა ქალაქებში ბევრი შეხვედრა მქონდა ავსტრიელ ბიზნესმენებთან. სამწუხარო ფაქტია, რომ მათ საქართველოს შესახებ თითქმის არაფერი იციან, რადგანაც მასობრივი მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი ძალზე მოკლე, ხშირად კი არაობიექტურ და ტენდენციურ ინფორმაციას იღებს ჟურნალ-გაზეთებიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან. თითქმის არავინ უწყოდა, რომ საქართველოში 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პრინციპულად შეიცვალა მდგომარეობა, რომ საქართველო ერთადერთი რესპუბლიკაა რუსეთის უკიდეგანო იმპერიაში, სადაც კომუნისტებმა განონიერი არჩევნების შედეგად დაკარგეს ხელისუფლება. არაფერი იყო ნათქვამი ჩვენი მიმართვების შესახებ მსოფლიოს ხალხებისა და პარიზის კონფერენციისადმი, სადაც კი შემეძლო, ვყვებოდი საქართველოზე, მის ისტორიაზე, აწმყოზე, ვაგულიანებდი ბიზნესმენებს ჩვენთან საქმიანი კავშირების დასამყარებლად. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა ავსტრიის მენეჯერთა კლუბში, რომელიც 600-ზე მეტი ფირმის წამყვან მენეჯერს აერთიანებს. შეხვედრას ბევრი კორესპონდენტი დაესწრო. მრავალ ბიზნესმენს სურს ჩვენთან ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ქვეყნის შესახებ ინფორმაციის უქონლობა და საბჭოთა კავშირში საერთო არასტაბილური მდგომარეობა წინააღმდეგობას უქმნის კონტაქტებს.

აქვე უნდა ვახსენო ჩემი შეხვედრა ევროპაში ერთ-ერთ ავტორიტეტულ და ძვირადღირებულ კონსულტანტთან ფრიდრიხ გლაზლთან. ბ-ნი გლაზლი გვთავაზობს საქართველოს მეურნეობის მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლას დასავლელი სპეციალისტებისა და ქართველი ეკონომისტების გაერთიანებული ძალებით. ამ გამოკვლევის შედეგი — ანგარიში ამოსავალი წერტილი გახდება დასავლეთის ბიზნესმენებისათვის საქართველოსთან ურთიერთობაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბ-ნი გლაზლი თანახმაა, კვლევისათვის საჭირო თანხის გადახდა აკისრებინოს ავსტრიის, შვეიცარიისა და გერმანიის ბანკებს, ხოლო ჩვენ მხოლოდ ექსპერტთა დაბინავება და კვება გვრჩება საზრუნავად. ამგვარი წინადადება, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ იგი იმ პიროვნებისგან მოდის, რომელიც „ფოლქსვაგენს", „აუდის", „კრედიტ-ანშტალტს", „სიმენსს" და სხვა მრავალ ფირმას უწევს კონსულტაციას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონტაქტი დავამყარე ავსტრიის პრესის სააგენტო აპა-სთან. აპა-ს აღმოსავლეთ ქვეყნების რედაქტორმა ბ-ნმა ალექს კეფერმა ჩამომართვა ინტერვიუ, რომელშიც დაწვრილებით ვუამბე ჩვენში მიმდინარე პროცესების შესახებ. ეს ინტერვიუ სააგენტოს ყველა საინფორმაციო წყარომ გადასცა, მისი ზოგიერთი მონაკვეთი გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ხოლო სრულად სპეციალურ პრესრელიზში დაიბეჭდა. ბ-ნი კეფერი გვთავაზობს ინფორმაციის პირდაპირ გაცვლას. საკდესის ან სხვა ცბიერი შუამავლების გარეშე, რაც საქართველოზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს.

გარდა აღნიშნული კონტაქტებისა, საინტერესო ურთიერთობა დამყარდა თბილისის მენეჯერთა სკოლასა და მთელ რიგ ავსტრიულ სასწავლო და საკონსულტაციო ორგანიზაციებს შორის. უკვე მომავალი წლიდან მნიშვნელოვნად გავზრდით ავსტრიელი სპეციალისტებისა და ბიზნესმენების მიღებას, ხოლო ჩვენი მხრივ შევეცდებით რაც შეიძლება მეტი ქართველი იქნეს მივლინებული სხვადასხვა ვადიან სტაჟირებაზე საზღვარგარეთ, რათა მაღალპროფესიულად დაეუფლონ მეურნეობის მართვის რთულ საქმეს.

ამ ბოლო აზრთან დაკავშირებით მინდა ერთ მნიშვნელოვან მომენტზე შევჩერდე. ამჟამად ვენაში ექვსი ქართველი მენეჯერი გადის 6-თვიან სტაჟირებას, რაც ავსტრიელი ბიზნესმენის ბ-ნი ლეოპოლდ ბაუსბეკის ქველმოქმედებით გახდა შესაძლებელი.

სახლდებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე

კაირო. ისრაელის მთავრობა განაგრძობს ქვეყანაში ჩამოსული იმიგრანტების დასახლებას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე, განაცხადა ისრაელის შრომის პარტიის ლიდერმა შიმონ პერესმა. ისრაელის რადიოს ცნობით, პარტიის აქტივისტების წინაშე გამოსვლისას ოპოზიციურმა მოღვაწემ მიუთითა, რომ უსახლკარო გადმოსახლებულებს არა აქვთ სხვა გამოსავალი — საბინაო მშენებლობის სამინისტროს სანქციით ისინი სახლდებიან ასაწყობ სახლებში, რომლებსაც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე აგებენ.

ხუთშაბათს ისრაელის აშდოდის ნავსადგურში შეერთებული შტატებიდან ჩაიტანეს კიდევ 430 ასეთი სახლი. სულ მიმდინარე წლის დამლევამდე დაგეგმილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე 5 ათასი ასეთი საცხოვრებლის განლაგება.

საბრძოლო დარტყმა მაფიას

პრესის წარმომადგენლებს წარუდგინეს ბერლინში ოდესმე აღმოჩენილი ნარკოტიკების უდიდესი პარტია — ეს მოხდა შენებურგის რაიონის დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველოში 18 კილოგრამი სუფთა ჰეროინუმი იპოვეს სატვირთო მანქანაში, რომელსაც თურქეთის ნიშნები ჰქონდა. „თეთრი სიკვდილის" ამ ნაირსახეობის ერთი კილოგრამის საბაზრო ფასი ბერლინში 80-100 ათას მარკას აღწევს.

ადნ-საკდესის ფოტო.

სსრ კავშირი—კორეის რესპუბლიკა: ახალი ფურცელი

მოსკოვი, 18 დეკემბერს 17 საათიდან გადაიშალა ახალი ფურცელი საბჭოთა კავშირისა და კორეის რესპუბლიკის ურთიერთობაში. სწორედ ამ დროს, როგორც გათვალისწინებული იყო, „შერემეტიევო-1" აეროვაგზალში ჩაფრინდა კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტი რო დე უ. სსრ კავშირის პრეზიდენტის მოწვევით იგი ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა საბჭოთა კავშირში.

აი ამ ვიზიტის წინაისტორია: 1988 წლის სექტემბერი: მ. გორბაჩოვის გამოსვლა კრასნოიარსკში, რომელიც შეიცავს სსრ კავშირსა და კორეის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის თავდაპირველ იმპულსს. იმავე წელს საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა სეულის ოლიმპიადაში. წლის დამლევს მიღწეულია მორიგება არასამთავრობო საფუძველზე სავაჭრო წარმომადგენლობების გაცვლის შესახებ. 1989 წელი: გაიხსნა წარმომადგენლობანი, მათთან დაფუძნებულია საკონსულო განყოფილებანი. 1990 წლის ივნისი- მ. გორბაჩოვისა და რო დე უს პირველი შეხვედრა სან-ფრანცისკოში. ამავე წელს ორი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საელჩოთა დონეზე დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

როგორც ვხედავთ, ისტორია მოკლე და დინამიკურია. ალბათ, ეს დროის მოთხოვნაა. ბევრი რამ ჯერ კიდევ წინ არის, და ამიტომ არაერთხელ შეგვხვდება სიტყვა „პირველად".

ილია

აღიარება ფრანგულად

ბედნიერია ქართველი ერი, ილია ჭავჭავაძე რომ ჰყავს. ბედნიერია, რადგან ყველა დროსა და ყველა ცხოვრებისეულ ქარტეხილში მას წინ უძღვის დიდი ილიას ნათელი ნააზრევი, მისი მაღალი მამულიშვილობა. მრავალჯერ რომ გვიხსნა, გამოგვაფხიზლა, სწორი გზა და გეზი აგვარჩევინა. ყოველი ქართველის გული და გონება ყოველთვის და განსაკუთრებით დღეს დიდი მწერლისკენ არის მიპყრობილი, რამეთუ ილიას უკვდავი შემოქმედება ის უშრეტი წყაროა, რომელიც გვასწავლის რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ. მის უმდიდრეს მემკვიდრეობაში ერი ხედავს სულიერ საზრდოს, ისე რომ სჭირდება ახლა მის სათაყვანებელ სამშობლოს თავისუფლებისაკენ ძნელად სავალ გზაზე.

ყოველი წიგნი, იქნება ეს თვით დიდი მწერლის თხზულებათა ტომეულები თუ მემკვიდრეთა ნაშრომები, საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ასე მიიღეს ქართველმა მკითხველებმა საიუბილეო გამოცემები, რომელთა დისტამბვა დღემდე გრძელდება.



1986.3.V

ზვიად გამსახურდია

და აი, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემებს შეემატა მწერლის თხზულებათა ექსტომეული — ფრანგული ფირმა „ანდრე მაიოტის" მიერ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული გამოცემა. წიგნები დაიბეჭდა პარიზში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ინიციატივით.

12 დეკემბერს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში გაიმართა ამ წიგნების პრეზენტაცია. წიგნის სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ: „ეს ორიგინალური გამოცემა დაბეჭდილია ვერჟეს ქაღალდზე, ცხვრის ტყავის გარეკანი ხელით არის გასრულებული. გამოყენებულია 22 კარატი ოქრო. ანდრე მაიოტის ხელმოწერა ამის გარანტიას წარმოადგენს. პარიზს გამომცემლობა „ქართული წიგნი". 1989".

მართლაც რომ უნიკალური გამოცემაა, ისეთი, როგორიც ეკადრება დიდ ილიას, მოაზროვნესა და პიროვნებს, რომლის ჭნარიც „ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა" და სიმართლის, სინათლის გამარჯვებას ჯერ კიდევ როდის გვიწინასწარმეტყველებდა. სულ ცოტა ხნის წინათ კი გაისმა კიდეც მის მამულში თავისუფლების „ხმა ტკბილი" და დღეს შთამომავლები განსაკუთრებული მადლიერებით წარმოთქვამენ დიდი ჰუმანისტისა და ერის ჭირისუფლის სახელს.

საქსახმომარაგების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯიჯი აბდუშელიშვილმა წიგნის პრეზენტაციის დროს აღნიშნა, რომ ილიას ექსტომეულის პარიზული გამოცემა — შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კომიტეტის ერთობლივი შრომის დაგვირგვინება — დიდი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მოვლენაა ერის ცხოვრებაში. თუ მეორეული ნედლეულის გონივრული გამოყენებით განხორციელდება მსგავსი გამოცემები, ჩვენ კი ვფიქრობთ კვლავ გავაგრძელოთ ასეთი პრაქტიკა, ისინი ჭეშმარიტად გაამდიდრებენ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს. კერძოდ, დაგეგმილია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის", აკაკის თხზულებათა გამოცემა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, ამ გამოცემის მთავარმა რედაქტორმა გიორგი ციციშვილმა მიულოცა შეკრებილთ ამ მშვენიერი ტომეულების გამოსვლა. მან უდიდესი მადლობა მოახსენა მომარაგების კომიტეტის თანამშრომლებს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთ, მედეა თუშმალიშვილს — გამოცემის ერთ-ერთ აქტიურ ხელშემწყობს, ყველას, ვინც არ დაზოგა ენერგია და შრომა და თავისი სიყვარული ჩააქსოვა ამ უნიკალურ გამოცემაში. პირველ რიგში — აღნიშნა ბატონმა გიორგიმ, — ქართველი ხალხი დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მიმართავს ანდრე მაიოტს, რომლის უშუალო მონაწილეობითაც განხორციელდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ექსტომეულის გამოცემა. სხვათა შორის, ანდრე მაიოტის ძარღვებში ქართული სისხლიც სჩქეფს: მისი დიდედა ქართველი იყო. ალბათ, ამ გრძნობებმაც შეასრულა გარკვეული როლი გამოცემის წარმატებაში. და დღეს ჩვენს ხელთ არის ეს შესანიშნავი წიგნები, როგორც დიდი ილიას მარად უჭკნობი შემოქმედების ხელთუქმნელი ძეგლი. ამ საზეიმო წუთებში ახლავს უსიამოვნო შეგრძნებაც: პარიზიდან მიღებული კონტეინერიდან მოიპარეს ეს ძვირფასი კომპლექტები და, როგორც შევიტყვეთ, წიგნებს კერძო ბაზარზე მამასისხლად ჰყიდიან.

პრეზენტაციაზე გამოვიდნენ საქართველოს განათლების მინისტრი ლია ანდღულაძე და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი ელგუჯა ხინთიბაძე.

ცნობისათვის: გამოცემის ტირაჟი 20 ათასია. ვერჟეს ქაღალდზე კი, რომელიც ამ წიგნებისთვისაა გამოყენებული, მსოფლიოში ფულის ნიშნები იბეჭდება.

ამ პარიზული გამოცემის ოთხი ტომი ზუსტად იმეორებს აკადემიური 20-ტომეულის გამოცემის პირველ ოთხ ტომს. რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე ტომებს, რომლებსაც ასევე მივიღებთ საფრანგეთიდან, ორიგინალურია. პირველი ტომის — „პოეზია" — რედაქტორია გიორგი აბაშიძე, მეორე ტომისა — „მოთხრობები, პიესები" — გიორგი ჯიბლაძე, მესამესი — „მხატვრული თარგმანები" — გურამ შარაძე, მეოთხესი — „მხატვრული თარგმანები" — ზურაბ ჭუმბურიძე და გურამ შარაძე, მეხუთესი — „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები" — გიორგი აბაშიძე, მეექვსესი — „რჩეული პუბლიცისტიკა" — გიორგი აბაშიძე და ზურაბ ჭუმბურიძე.

ექსტომეულს წინ უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა. მისი ავტორები გიორგი ციციშვილი, გიორგი აბაშიძე და ზურაბ ჭუმბურიძე მიმოიხილავენ ყველა ქართველისათვის ძვირფასი მოღვაწის შემოქმედებას, ვისი ცხოვრების მაგალითი ერის უმაღლესი იდეალების მსახურებას მოგვიწოდებს და გვრაზმავს, რამეთუ ილია საქართველოს უკვდავი და თანმდევი სულია და დღეს საქართველოს ფარად და მახვილად წინ უძღვის დიდი ილიას უკვდავი შეგონება „ენა, მამული, სარწმუნოება".

მერი ბაბრიაძე,
სს „საქართველოს" კორ.

სურათებზე: პრეზენტაციის დროს; სახლ-მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნიდან.

დღეს ხვალისათვის

ბავშვები ჩვენი მომავალია

ერთი წლის წინათ საქართველოში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „სამედიცინო დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის". მიიღეს წესდება და პროგრამა, შექმნეს შესაბამისი ფონდი. როგორც საზოგადოების პროგრამაშია ნათქვამი, მისი წევრები „გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას უწინარეს ყოვლისა მომავლის წინაშე, ბავშვთა წინაშე". შემდეგ პროგრამაში აღნიშნულია, რომ „შორს აღარ არის 21-ე საუკუნე. იგი ისეთი იქნება, როგორსაც მას ჩვენი შვილები და მოზარდები შექმნიან. მათ ვზრდით, ვაყალიბებთ საკუთარ, სამწუხაროდ, არც მთლად საუკეთესო ყაიდაზე. ის კი, რაც დღეს დავთესეთ, ხვალ აღმონაცენს მოგვცემს".

რა გააკეთა საზოგადოებამ განვლილი წლის მანძილზე? როგორია მისი სამომავლო გეგმები? **სს „საქართველოს"** კორესპონდენტმა ეს კითხვები დაუსვა საზოგადოების დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ოთარ აზიკურს. აი რა თქვა მან:

ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ კიდევ მეტი გავაკეთოთ. საზოგადოებამ განიხილა მრავალშვილიანი დედების განცხადებანი და საჩივრები მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, მთელ რიგ შემთხვევებში ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. სამეცნიერო ცენტრებისა და საუკეთესო კლინიკების სპეციალისტები მივავლინეთ რაიონულ და სასოფლო საავადმყოფოებში ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად. შევიძინეთ შესაბამისი სალაბორატორიო და სხვა მოწყობილობა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მომავალი უფასო სამედიცინო დახმარების ცენტრის შესაქმნელად. მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა მრავალშვილიანი ოჯახების წევრთა დასვენებისა და მკურნალობისათვის გამოიყოს ჯანმრთელობის რამდენიმე კერა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ გვჭირდება ჯერ კიდევ ძალიან დიდი მუშაობა. წლევანდელ ცხრა თვეში შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით ახალშობილთა რიცხვი საქართველოში 2465-ით გაიზარდა, გარდაცვლილთა რიცხვი — 157-ით; მოსახლეობის ბუნებრივი მატება რესპუბლიკაში შეადგენს 2308 კაცს.

— მიმაჩნია, რომ დემოგრაფიული წონასწორობის აღდგენისათვის, ეს ძალზე ცოტაა. სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ჩვილი ბავშვებისა, ჩვენში კვლავ დიდია. ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების ნორმალური პირობების უზრუნველყოფის პრობლემები უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე კიდევ უფრო გართულდა და ძნელი გადასაჭრელი გახდა. ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი დონის შენარჩუნების განმაპირობებელ ფაქტორებს შორის, უწინარეს ყოვლისა, შეიძლება გამოიყოს არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სუსტი განვითარება, საჭირო რაოდენობის მედიკამენტების უქონლობა, თანდაყოლილი მანკი. დღეს დავდექით ისეთი საშინელი პრობლემის წინაშე, როგორიც არის სურსათის დეფიციტი.

— და მხოლოდ ეს?

— არა. მწვავე პრობლემებს შემიძლია მივაკუთვნო სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისათვის, სამედიცინო პერსონალის ხელფასისათვის ფინანსური სახსრების მწვავე ნაკლებობაც, სოფლად, განსაკუთრებით მაღალმთიან და მთის რაიონებში კვალიფიციურ ექიმთა მეტად შეზღუდული რაოდენობა, სამედიცინო დაწესებულებათა არაპროპორციული ტერიტორიული განლაგება, რომლებიც ძირითადად თავმოყრილია ქალაქებში, ცხოვრების პირობების გაუარესება, ფასების ზრდა, წამლების, სამედიცინო ტექნიკის მეტად დიდი ღირებულება.

ამავე დროს შობადობის სათანადო დონის შენარჩუნება მომავალში შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ხარვეზები უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის შრომითი რესურსების სისტემაში. ასეთი დონე, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი ვერ იქნება, თუ ოჯახში ერთი ბავშვი გვეყოლება. ბავშვები ოჯახში სამი-ოთხი და მეტი უნდა იყოს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თაობის უბრალო განახლებისათვის, ესე იგი იმის აღდგენისათვის, რაც, ვთქვათ, საქართველოს ყველაზე კარგ ხანაში იყო, საჭიროა, დემოგრაფთა გამოანგარიშებით, რომ ცოლ-ქმარმა საშუალოდ ოთხი შვილი იყოლიოს. ბავშვები, რომლებიც ჩვენს სამყაროში მოევლინებიან იმ რაოდენობით, რომელიც თუნდაც აღნიშნულ „ნორმას" შეესაბამება, მომავალში თავს გამოიჩენენ არა მარტო „შრომით", არამედ სხვა უაღრესად საჭირო ფუნქციით, შეამსუბუქებენ დემოგრაფიაში არსებულ „მოსახლეობის დაბერების" პროცესს. ერთადერთი რამ, რამაც შეიძლება თავიდან აგვაცილოს მოსახლეობის რიცხვის შემცირება — ეს არის შობადობის ტენდენციის შეცვლა, მისი შემობრუნება ზრდისაკენ.

რატომ ვლაპარაკობ ყოველივე ამაზე ასე დაწვრილებით? იმიტომ, რომ აგიხსნათ, თუ რა დიდი მოვალეობანი იკისრა ჩვენმა საზოგადოებამ.

საქართველოს დღევანდელ დღეს მე ვუწოდებდი ჩვენი შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების ობიექტური შეფასებებისა და ფხიზელი ანალიზის დროს, ამიტომაც უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ოფიციალური სამსახურები საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის გარეშე სრულად ვერ გადაჭრიან ადამიანთა ჯანმრთელობის პრობლემებს. მხედველობაში მყავს უწინარეს ყოვლისა დედა და შვილი. სახელმწიფოს ბევრი თავისი მოქალაქის ვალი აქვს. მოვიდა ვალების გასტუმრების დრო. ჩვენი საზოგადოებისა და მისი ფონდის მიზანია დარაზმოს კეთილი ძალები, მოიზიდოს ადამიანები, მათი მატერიალური სახსრები იმათ დასახმარებლად, ვისაც ყოველდღიური ზრუნვა და მეურვეობა სჭირდებათ.

გარდა ამისა, გულმოწყალებასა და ჰუმანიზმს რომ აღორძინებს, საზოგადოება განიკურნება ამ თვისებათა დეფიციტისაგან, სისასტიკისა და უსულგულობისაგან, სხვისი ჭირისადმი გულგრილობისაგან, რომლებიც არც ისე იშვიათია ახლა ადამიანთა ურთიერთობაში.

— როგორია საზოგადოების ფონდის სახსრების შექმნის წყაროები და მათი ხარჯვის პრინციპები?

— წესდებისა და დებულების შესაბამისად ფონდის სახსრები შედგება ცალკეულ მოქალაქეთა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა შემოწირულობებისაგან. ვაპირებთ შევქმნათ ფონდის ხელშემწყობი კომისიები შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, კოოპერატივებში. სწორედ პირველადს ორგანიზაციებში არა მარტო შეგროვდება სახსრები, არამედ განისაზღვრება მათი ყველაზე მიზანშეწონილი ხარჯვის გზები.

იმედს ვამყარებთ სახსრების მიღების სხვა არხებზეც: გავმართავთ საქველმოქმედო კონცერტებს, აუქციონებს, ფონდის ეგიდით შევქმნით კოოპერატივებს, რომლებიც, ფულადი შემოსავლის გარდა, „გაამდიდრებენ ფონდს" და გაუწევენ კონკრეტულ სოციალურ დახმარებას, გამოვუშვებთ ნაწარმს, რომელიც ასევე გულმოწყალებას წაადგება.

— როგორც ჩანს, საქმის წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული საჯაროობაზეც ფონდის მუშაობაში, რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ინფორმირებაზე იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობებს აძლევს ფონდი „ყოველ ჩვენგანს გულმოწყალების დახმარებაში შეძლებისდაგვარი მონაწილეობისათვის.

— გეთანხმებით. ფონდისათვის პოპულარობისა და მოსახლეობის სიმპათიების მოპოვება გაგვიჭირდება, თუ არ დაგვეხმარებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. რესუბლიკის მცხოვრებლებმა უნდა იცოდნენ ფონდის როგორც მიზნები და ამოცანები, ისე დახმარების ის კონკრეტული აქციებიც, რომლებზეც ეს შემოწირულობანი დაიხარჯა.

ჩვენ ურთიერთმოქმედება გვაქვს საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებასთან, საბავშვო ფონდთან, საქველმოქმედო საზოგადოება „სამშობლოსთან", ასოციაციასთან „ბავშვებს — სუფთა პლანეტა", ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოსთან, სხვა ორგანიზაციებთან. ეს ჩვენი შემდგომი მუშაობის მხოლოდ ფრაგმენტებია. ცხოვრება დღენიადაგ შეიტანს მასში კორექტივებს.

ესაუბრებოდა
დავით რამიშვილი.

საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებასთან (სდს) არსებული სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს განცხადება

საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებული სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო იურიდიული პირია. მისი მიზანი: საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისათვის და საერთოდ რესპუბლიკის ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისათვის დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებელი ძირითადი მიმართულებების შემუშავება და განსაზღვრა, რომელიც დაფუძნებული იქნება რესპუბლიკის დემოგრაფიული განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს მიაჩნია, რომ საქართველოს ყველა საქველმოქმედო საზოგადოება უნდა მიისწრაფვოდეს უშუალოდ იმ ფუნქციის შესრულებისაკენ, რომელიც მისი მოქმედების ამოსავალია. ამიტომ სდს-ზე ისე როგორც ყველა სხვა საქველმოქმედო საზოგადოებებზე, რომელიმე პარტიული თუ პოლიტიკური დაჯგუფების ზემოქმედება გაუმართლებელია. ასევე მიუღებელია საქველმოქმედო საზოგადოებებთან პარტიის შექმნა ან მისი გადახრა რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფებისაკენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე სდს სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო აცხადებს, რომ სდს ყრილობაზე უნდა დაისვას და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ:

1. მიუღებელია სდს-თან პარტიის არსებობა,
2. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, მოადგილეები, მიზნობრივი კომიტეტების, სადროშოებისა და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები თანამდებობებზე არჩევის შემდგომ არ უნდა იყვნენ რომელიმე პარტიის წევრი, არ მიიღონ მონაწილეობა არცერთი პარტიული თუ ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფების საქმიანობაში და უზრუნველყონ სდს-ის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

აღნიშნული საკითხების უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში სდს-თან არსებული სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო, როგორც იურიდიული პირი გავა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებიდან და დაიწყებს დამოუკიდებელ ფუნქციონირებას.

საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებული სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭო.

სხვადასხვა

მოძრაობა „თანადგომა"

კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი, ეროვნული, ზნეობრივი იდეალების ყოველდღიურ ცხოვრებაში დაკანონება, ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერა, ურთიერთმიმტევებლობა, ერთიანობა და ეროვნული ინტერესების უზენაესობა, სამართლიანობა და წესრიგი, ხალხის კანონიერი ინტერესებისა და უფლებათა დაცვა, ერის ერთ მუშტად შეკვრა — აი, სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის" ძირითადი მიზანი. მოძრაობა გააერთიანებს არაპოლიტიკური ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და სასწავლებლებს.

დღეს, როცა ეროვნული მთავრობის მიერ გარდამავალი პერიოდი დაკანონდა, აუცილებლად გვეჩვენება სრულიად საქართველოს ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა, მთლიანად უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი უზნეობა და ღვარძლი, შუღლი, ურთიერთდაპირისპირება, მექრთამეობა და კარიერიზმი, მოხვეჭელობა და მუქთახორობა, ბიუროკრატია და სპეკულაცია.

ყველა, იქნება ეს პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფება, დაწესებულება თუ სასწავლებელი, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს.

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომა" მოღვაწეობს რა მხოლოდ გარდამავალ პერიოდში, გადაუდებლად მიიჩნევს ერის გაერთიანებას და ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრას.

ვთხოვთ, ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, გვესტუმრონ ა. წ. 15 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, მოსაწვევი ბარათების მისაღებად და სხვა ორგანიზაციული საკითხების გასარკვევად.

მისამართი: „ათონელის ქ. № 27 (9 აპრილის სახ. ბაღის მოპირდაპირედ) 13-18 და 20 დეკემბერს 15 -18 სთ., 14-17 და 19 დეკემბერს 16-20 სთ., 15 დეკემბერს 10-14 სთ.

დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარების თარიღი და ადგილმდებარეობა გამოცხადდება 20-21 დეკემბერს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

საინიციატივო ჯგუფი.
(სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაცია „ამაღლება").

სპორტი

დიდოსტატები

ქართულმა ჭადრაკმა ახალი აღიარება მოიპოვა. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) მორიგმა კონგრესმა, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში გაიმართა, საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიაკუთვნა მოჭადრაკე ლაშა ჯანჯღავას და ეტიუდისტს დავით გურგენიძეს.

20 წლის ლაშა ჯანჯღავა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. მისი საჭადრაკო ნიჭი გამოჩნდა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ოლიმპიური რეზერვის საჭადრაკო სკოლაში (მწვრთნელი — ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა), სადაც ცხრა წლისა მივიდა. უკვე 1984 წლიდან ლაშა აქტიურად მონაწილეობს ჯერ მოსწავლეთა, მერე მოზრდილთა შეჯიბრებებში. ბოლო წლებში, მას ხშირად ვხედავთ იტალიის, ინგლისის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ტურნირების, მსოფლიოს თასის და ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის გათამაშების მონაწილედ.

1985 წელს ლაშა ჯანჯღავა სპორტის ოსტატი გახდა, შემდეგ მიეკუთვნა საერთაშორისო ოსტატის და ახლახან კი — საერთაშორისო დიდოსტატის წოდებები.

მეორე საერთაშორისო დიდოსტატს, საჭადრაკო კომპოზიტორს დავით გურგენიძეს კარგად იცნობს ჭადრაკის სამყარო. მისი ეტიუდები ხშირად იბეჭდება მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებში.

საბჭოთა კავშირის ეტიუდისტთა ნაკრების წევრი, 37 წლის დავით გურგენიძე საჭადრაკო კომპოზიციაში სპორტის ოსტატია, საერთაშორისო ოსტატი, წლეულს კი საერთაშორისო დიდოსტატი და საერთაშორისო არბიტრი გახდა.

ქართველ დიდოსტატთა ოჯახმა შესანიშნავი შევსება მიიღო.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.
საინფორმაციო სააგენტო „საქართველო"

სიხარული და გულისტკენა

საქართველოს გუნდის წევრმა კობა გულბანმა (54 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) დამაჯერებლად მოუგო სსრ კავშირის ნაკრების გუნდის წარმომადგენელს რუდიკ გივორგიზოვს. შეხვედრით გაიხსნა ჭაბუკ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზებზე. იგი მიმდინარეობს თბილისის სპორტის სასახლის რინგზე და დასრულდება 15 დეკემბერს, ბულგარეთის, იტალიის, ნიდერლანდის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის, ფინეთისა და სსრ კავშირის ნორჩი სპორტსმენები (1973-74 წლებში დაბადებულები) ოთხ დღეს იასპარეზებენ თორმეტ წონით კატეგორიაში. ცალკე გუნდად გამოდიან საქართველოს მოკრივეები.

გასულ წლებში ტურნირმა ცხოვრების საგზური მისცა ამჟამად ისეთ ცნობილ მოკრივეებს, როგორებიც არიან არმენ ბურდიანცი, კონსტანტინე ძიუ და სხვები. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამან განსაზღვრა, რომ ტურნირი შეტანილია აიბას ოფიციალურ კალენდარში.

საქართველოს ნაკრებს წარმოადგენენ უკვე ცნობილი მოკრივეები, ევროპის ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულები როლანდ ფალიანი, პაატა გვასალია და სხვები. ტურნირისათვის გუნდს ამზადებდა მწვრთნელი როლანდ კვაჭაძე — წარსულში სახელგანთქმული მოკრივის, ევროპის ექსჩემპიონის დავით კვაჭაძის ძმა. დავითი ახლა შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის მეთაურობს.

ტურნირის პირველ დღეს გაიმარჯვეს აგრეთვე კობა გოგოლაძემ, ლევან დიდებაშვილმა (ორივენი — 54 კილოგრამამდე), გიორგი ხიდაშელმა (60 კილოგრამამდე).

სს „საქართველო".

რედაქციისაგან:

დაინტერესებული მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ ჩვენს გაზეთში გაჩნდა ახალი, ჩვენი აზრით, არა ინტერესმოკლებული რუბრიკა „დეპუტატის მოსაზრებები". ამ სიახლეს ერთადერთი მიზანი აქვს. რაც შეიძლება ახლოს მივიტანოთ მკითხველამდე მკითხველების მიერვე არჩეულ დეპუტატთა ნაფიქრ-ნააზრევი, იდეები, წინადადებები.

მხოლოდ ეს გახლავთ სარედაქციო ჩანაფიქრი.

თუმცა, აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მცირეოდენი განმარტებაც.

გუშინ, 14 დეკემბერს, ჩვენს გაზეთში ზემოთხსენებული რუბრიკის ქვეშ დაისტამბა დეპუტატ ამირან კალაძის წერილი, რომელსაც მკითხველთა არაერთგვაროვანი გამოხმაურებებიც მოჰყვა. თანაც ბევრმა, წერილში გამოთქმული მოსაზრებები რატომღაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აშკარად გამოხატულ პოზიციად მიიღო. ამიტომაც, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „დეპუტატის მოსაზრებები" მართლაც დეპუტატის მოსაზრებებია ამ სიტყვების აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით და მათი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პოზიციასთან გაიგივება ელემენტარულად არასწორი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ იგივე ბატონ ამირან კალაძის თვალსაზრისს დეპუტატების უმრავლესობა არ ეთანხმება.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო იტყობინება, რომ 1991/92 სასწავლო წელს, სკოლის მოსწავლეთა საზღვარგარეთ ერთი წლის ვადით სწავლების 12 ადგილია გამოყოფილი. მომავალი წლის აგვისტოში სასწავლებლად გაიგზავნება აშშ-ში — 5, საფრანგეთში — 3, გერმანიაში — 2 და იტალიაში — 2 მოსწავლე.

გაითვალისწინა რა წინა წლების გამოცდილება, განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა მოსწავლეები შეარჩიოს ღია კონკურსის წესით, საჯაროობის სრული დაცვით.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ:

1. სრულყოფილად ფლობენ იმ უცხო ენას, რომელ ქვეყანაში გასაგზავნადაც იქნებიან წარმოდგენილნი, რათა სწავლების კურსი საზღვარგარეთ უცხო ენაზე გაიარონ;
2. აქვთ მხოლოდ წარჩინებული ან მაღალი აკადემიური მოსწრება, საერთო განათლების ფართო სპექტრი;
3. აქვთ გარკვეული სპორტული, მუსიკალური ან შემოქმედებითი მონაცემები;
4. მოსწავლის საზღვარგარეთ სწავლის განმავლობაში მისმა ოჯახმა და სკოლამ ასევე ერთი წლის ვადით ერთი უცხოელი მოსწავლე უნდა მიიღოს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 1990 წლის 22 დეკემბრამდე სამინისტროს საგარეო ურთიერთობის განყოფილებაში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 52, III სართული, ოთახი 65--66) უნდა წარმოადგინონ:

1. მოსწავლის მშობლების განცხადება მათი შვილის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაშვების შესახებ, აუცილებელი აღნიშვნით, რომ ოჯახი მზადაა მათი შვილის საზღვარგარეთ მივლინების შემთხვევაში სანაცვლოდ მიიღოს საცხოვრებლად ერთი წლის განმავლობაში უცხოელი მოსწავლე.
2. ცნობა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ, მე-9 კლასისა და მე-10 კლასის პირველი სემესტრის მონაცემებით.
3. ცნობა მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
4. მოსწავლის საგნობრივ ოლიმპიადებსა და ტურებში გამარჯვების სიგელები, სპორტული წარმატებების, მუსიკალურ სკოლაში სწავლის, მისი დამთავრების ან სხვა შემოქმედებითი მონაცემების ამსახველი საბუთები, რომლებიც კონკურსის დამთავრების შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდებათ.
5. სკოლის პედაგოგიური საბჭოს დახასიათება-რეკომენდაცია სათანადო აღნიშვნით, რომ სკოლა თანახმაა მათი მოსწავლის საზღვარგარეთ მივლინების შემთხვევაში, ერთი წლის ვადით სასწავლებლად მიიღოს უცხოელი მოსწავლე. აღნიშნული საბუთი ვიზირებული უნდა იყოს შესაბამისი რაიონის ან ქალაქის განათლების განყოფილების მიერ.

კონკურსს ჩაატარებს სამინისტროს მიერ საგანგებოდ შექმნილი საკონკურსო კომისია.

კონკურსის დროს მოეწყობა წერითი გამოცდა უცხო ენაში და ზეპირი გასაუბრება საერთო განათლების დონის გამოსავლენად. პრიორიტეტი წერითი გამოცდის შედეგებს მიენიჭება.

კონკურსის ჩატარების საორიენტაციო თარიღია 1990 წლის 27-29 დეკემბერი. ცვლილებების შემთხვევაში დამატებით გეცნობებათ.

განათლების სამინისტრო გამოთქვამს იმედს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აქტიურად გამოეხმაურებიან აღნიშნულ განცხადებას და დროულად წარმოადგენენ ღირსეულ კანდიდატურებს კონკურსში მონაწილეობისათვის.

ტელევიზია

15 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.05 — ათლეტიზმი. 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე კერესელიძე". 11.40 — საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინ. 11.55 — კახეთის მზეთ, ცხრათვალა. 12.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სარკმელი". 13.00 — ქართული აბრეშუმი. 13.40 — ფილმის შუქჩრდილი. დოკუმენტური ფილმი „განა ადვილია, იყო ახალგაზრდა?" 15.00 — საინფორმაციო გამოშვება. 15.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.15 — მოსწავლეთათვის — ჩვენი თეატრი — მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის თეატრი. „გარეჯულა" — ნაწყვეტები. 16.05 — ბუნების კარი. 16.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.00 — თეატრალური პანორამა. 18.25 — ხელოვნების ლექტორიუმი. 18.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.00 — „რაღაც უნდა დარჩეს" — გერონტი ქიქოძე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.40 — ერთი დღე პარიზში — სატელევიზიო ჩანახატები. 21.00 — „ვრემია". 21.50. — თბილისის საერთაშორისო ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის. ფინალი. 22.50 — ილუზიონი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი". 8.30 — ჩვენი ბაღი. 9.00 — მულტფილმი. 9.30— „პარტნიორი". 10.00 — „სივრცე და ლირიკა". მხატვარი ს. ალიბეკოვი. 10.35 — „ცხოველთა სამყაროში". 11.35 — „პროგნოზი". 12.05 — „საილუზიონო ატრაქციონი". 11.25 — რეჟისორ ი. სელეზნიოვას ფილმები. „ანა პეტროვნა". I და II სერია. 14.45 — პრემიერა მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმისა „ფიცის ერთგულნი". 16.05 — ი. ტურგენევი „მუმუ". ფილმ-სპექტაკლის პრემიერა. 17.50 — საერთაშორისო პანორამა. 18.35 — რუსეთის საპარლამენტო მოამბე. 18.50 — მხატვრული ტელეფილმი „მატჩი ყოველგვარ ამინდში შედგება". I და II სერია. 21.00 — „ვრემია". 21.40 — კონცერტი. 22.00 — „რა. სად. როდის?". 23.00 — „ო, ჯაზი". 0.05 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 0.20 — „ახალი მოდელი დღეს". 2.40 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში.

მეორე პროგრამა. 8.20 — დოკუმენტური ფილმი. 8.40 — იცნობდეთ: თ. მურვანიძე. 9.00 —ვიდეოარხი „თანამშრომლობა". 17.00 — ტელეპროგრამა „ოჯახი". 18.00 — პირადი კოლექციების მუზეუმი. 18.25 — რეკლამა. 19.00 — „სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ". კინოდრამატურგ ბ. დობროდეევას ფილმები. 20.00 — „ძილი ნებისა, პატარებო"! 20.15 — ი. ბუნინი. მოთხრობები. კითხულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სოლოვიოვი. 20.40 — ხალხური სიმღერების გვირგვინი. 21.00 — „ვრემია". 21.40 — საავტორო ტელევიზია. 23.40 — ღამის სეანსი. მხატვრული ფილმი „იასი და იანინა".

მთავარი რედაქტორი ბაჩუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების განყოფილება 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით [illegible]
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა